



სახელმწიფო გამოცემა 1926



*Handwritten signature*

განათლების სასკოლ. კომისიას, სოც. აღმზრდ. მთავარმართველთ-  
მის სალიცურატორთ-სამსაჯვართ სეცციის რედაქციით

პ. ხლუპნიკოვი

1926

15/4

29549

# წითელკანიანები

რელიგ-ამერიკის ინტელთა ხსოვრებიან

შრავალი სურათით

თარგმანი მ. მ-მანდისა



ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი—1926

ტფილისი, ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა.  
21/II—26. შეკვ. № 4872/835. მთავ. № 266. ტირაჟი 50კპ.

## უ მ ს ა ვ ა ლ ი .

ვინ არ იცის ამერიკა? ვის არ გაუგონია ყველა ის საკვირველი გამოკვლევანი და გამოგონებანი, რომლებსაც უძღვნის იგი კაცობრიობას? ვინც კი ყოფილა ამერიკაში, ვინც კი იცნობს ამ ქვეყანას, გაკვირვებული არის ყველა იმით, რაც იქ ხდება. საათში 100 და მეტი ვერსის საშინელი სიჩქარით მიმქროლი მატარებლები, 20-სართულიანი უშველებელი სახლები, ქალაქისოდენა გემები...

ამ 200—300 წლის წინად ამერიკა სულ სხვას წარმოადგენდა. როდესაც კოლუმბი თავისი პატარა გემით ამერიკას მიაღწა, წითელკანიანი, ნახევრადტიტველი ხალხი დახვდა, ყოველგვარი ნადირით და ფრინველით სავსე ხელუხლები ტყეები, უშველებელი მდინარეები, თევზით მდიდარი ტბები... მხიარული და თავისი ბედით კმაყოფილი ხალხი დახვდა, რომელიც თეთრკანიანებს ცნობის-მოყვარეობით და გაკვირვებით უმზერდა და

არც კი იცოდნა, როგორ მოჰქცეოდა ახალ-  
მოსულებს.

ამისდ ამიუხედავად ეს მამაცი, მძლავრი  
და ამაყი პატრონები ამერიკისა, ევროპიდან  
მოსულ თეთრ სტუმრებს ძალიან კარგად და  
კეთილად დაუხვდენ, მაგრამ თეთრებმა კი  
სამაგიერო ცუდად გადაუხადეს.

ამერიკაში მოსული ევროპელები წითელ-  
კანიან ინდოელებს ველურ ხალხად სთვლი-  
დენ; დარწმუნებული იყვნენ, კარგი ცხოვრე-  
ბისა ინდოელებს არა გაეგებათ-რა და მათთან  
კეთილი მოპყრობა საჭირო არ არისო. ამიტომ  
ახლად დასახლებულნი არ უკვირდებოდენ  
არც წითელკანიანთა ცხოვრებას, არც მათ  
ზნე-ჩვეულებას, არც სარწმუნოებას; უფრო  
თავხედნი და სვინდისზე ხელაღებულნი არა-  
ფრად სთვლიდენ მათ წყენას, მოტყუებას,  
ძარცვას და ამით თავისადმი მხოლოდ სიძულ-  
ვილს და მტრობას იწვევდენ. წითელკანი-  
ანებთან ომი დაიწყო; ორივე მხრით ბევრი სის-  
ხლი დაიღვარა. მაგრამ თეთრებს იარაღი  
ჰქონდათ, ზარბაზნები, ომსაც ჩვეულნი იყ-  
ვნენ და გამარჯვებულნიც ისინი დარჩენ.  
წითელკანიანებს სულ უფრო და უფრო შორს,  
ამერიკის სიღრმეში, სრულიად გამოუყე-  
ნებელ ადგილებისკენ ერეკებოდენ.

ომი, უნაყოფო ადგილების მიზეზით გამოწვეული შიმშილი და სხვადასხვა ავად-  
მყოფობა წითელკანიანთა მოსახლეობას მე-  
ტად ამცირებდა. დღითი-დღა კლებულობდა  
მათი რიცხვი.

რაც უფრო მეტი ხალხი მიდიოდა ევრო-  
პიდან ამერიკაში, მით უფრო ცდილობდნენ  
ეს ახლად დასახლებულნი ინდოელების სადმე  
შორს განდევნას. 200 წელიწადი გრძელდე-  
ბოდა ინდოელებთან განუწყვეტელი ომი, სა-  
ნამ წითელკანიანი სრულიად გაუძღურდე-  
ბოდნენ, წინააღმდეგობის გაწევს უნარს და-  
ჰკარგავდნენ. ინდოელები წინადაც ერთმანეთ-  
თან მოქიშვე მრავალ სხვადასხვა ტომად  
იყოფებოდნენ; ეს მტრობა თეთრმა მოსახლე-  
ობამ გამოიყენა და ყოველნაირად ცდილობდა  
მის გაძლიერებას, რადგან წვრილ-წვრილად  
დანაწილებულ ხალხს უფრო ადვილად მოე-  
რეოდა.

ბოლოს თეთრებს სრული გამარჯვება  
ერგოთ, ამერიკის ახალმა გამგეებმა ძველ  
პატრონებს მოსახლეობისათვის განსაზღვრუ-  
ლი ადგილები დაუნიშნეს, რომელთა ფარ-  
გლების იქით გაწევს ნება არა ჰქონდათ  
მშვიდობიანად უნდა ეცხოვრათ, ერთმანეთ-  
თან არ ეომნათ და არავისათვის არ მიეყიდ-

ნათ თავისი ჭირნახული, გარდა სახელმწიფო მოხელეებისა.

გაუმწარდათ სიცოცხლე საცოდავ ინდოელებს. გარეულ კამეჩზე, ბიზონზე და ირემზე ნადირობას იყვნენ ჩვეულნი. მაგრამ ინდოელთა და თეთრთა შორის განსხვავება ამ მხრივაც დიდი იყო: ინდოელი მხოლოდ მაშინ ნადირობდა, როდესაც შიმშილი აწუხებდა, ხოლო თუ საჭიროება არ მოითხოვდა, არასოდეს არც ნადირს მოჰკლავდა, არც ფრინველს; პირიქით, ებრალებოდა კიდევ. თეთრები კი სულ სხვანაირად იქცეოდნენ. მოგროვდებოდა მთელი საზოგადოება, კაცებს დაიჭირავებდა, ტყე-ველს მოედებოდა, ცეცხლს წაუკიდებდა, ტყესაც სწვავდა და ნადირსაც ჟლეტდა. სულ მოკლე ხანში მთლად ამოწყვიტეს ბიზონების მრავალრიცხოვანი ჯოგები, მდინარეებში თევზი გამოლიეს, ტყეებში ფრინველი გასწყვიტეს. ჩვეულებრივ საჭმელს მოკლებულ ინდოელებს შიმშილი ხოცავდა.

წინადაც გამოუცდიათ მათ შიმშილი, როცა თავისი ქვეყნის სრულუფლებიანი გამგეები იყვნენ, ხოლო მაშინ ეს შიმშილი განსაკუთრებული შემთხვევებით იყო ხოლმე გამოწვეული: ან ხანძარი გადასწვავდა მთელს



მარაგს, ან მტერი დაესეოდა და აიკლებდა  
ახლა კი შიმშილი ჩვეულებრივ მოვლინად  
გადაიქცა.

ამერიკაში ევროპელების დასახლების  
შემდეგ უკვე რამდენიმე ასი წელი გავიდა,  
და ქვეყანა სრულიად გამოიცივალა: ყველგან  
რკინის გზებია გაყვანილი, ტელეგრაფები  
და ტელეფონებია გამართული, მრავალსარ-  
თულიანი უზარმაზარი სახლები და დიდრო-  
ნი ქალაქებია აშენებული.

მთელ ქვეყანაზე არავინ მოიპოვება ამე-  
რიკელი კაპიტალისტებისთანა მდიდარი და თან  
ხარბი და გაუმადლარი: უდიერად სარგებლო-  
ბენ ამერიკელი მუშა-ხალხით დასისხლსა სწო-  
ვენ მას. გლახკაცობას ალატაკებენ, რათა  
ხელთ იგდონ მათი მამული.

ინდოელებმა ვერ შესძლეს კაპიტალიზმ-  
თან შეგუება და მის მსხვერპლად იქცენ—  
ლამის სრულიად ამოწყდენ და დღეს 200.000  
ძლივსღა მოიპოვება. მათხოვრობით ცხოვრო-  
ბენ, ან ამერიკელ ფერმერებთან მუშაობენ  
ცარიელი ლუკმაპურის საშოვნელად.

წინანდულად თავისუფლად ინდოელების  
სულ უმცირესი ნაწილიღა ცხოვრობს.

ინდოელი თავისუფლად მხოლოდ ბუნე-  
ბის წიაღში სუნთქავს, მისი მოთხოვნილე-

ბანი ძალიან მცირე და განსაზღვრულია. საკმარისია თავი რაზედმე დასდოს და მაშინვე დაეძინება; ამიტომ სრულიად არ ესაჭიროება ოქროთ ღირებული სახლები. ასევე განსაზღვრულია ჭამის მოთხოვნებიც: უბრალო საჭმელი მიეცით—ცოტა სიმინდი, ხორბალი ან კაკალი და სრულიად კმაყოფილი იქნება. წითელკანიანის ცოლი თვითონ აკეთებს სახლში საჭირო უბრალო ჭურჭელს, თვითონვე ქსოვს ტანისამოსისთვის საჭირო ქსოვილს—ინდოელს არ ესაჭიროება ჭურჭლის და ქსოვილების ქარხნები მანქანებით და მუშებით.

ძალ-ღონის, ნეტარების, სულის სიმშვიდის მომცემ ბუნების წიაღში თავისუფლად და დამოუკიდებლად მცხოვრები ინდოელი თეთრებს უკვირდება და რასა ხედავს: მძიმე შრომაში ჩაბმულ, მოსვენებას დანატრებულ თეთრებს, უძლურებს, სნეულებს, სევდით და მწუხარებით დატანჯულებს. ხედავს ამას ინდოელი და ზურგს უბრუნებს ამ ცხოვრებას, რომელსაც მისთვის არც ფასი და არც მიმზიდველობა არა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპიდან მოსული ხალხი ინდოელების მეზობლად ცხოვრობდა, წითელკანიანთა ყოფა-ცხოვრება, მათი სარწმუნოება თეთრებისთვის სრულიად

უცნობი იყო. ინდოელებს ველურ ხალხად სთვლიდენ და არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ.

მხოლოდ უკანასკნელ დროს ზოგიერთი კეთილგონიერი ამერიკელი დაინტერესდა დევნილ ინდოელთა ბედ-იღბლით; დაიწყო ახლო გაცნობა და მათი ყოფა-ცხოვრების და სარწმუნოების შესწავლა.

ახლა ამერიკული ლიტერატურა სავსეა ინდოელების ცხოვრების აღწერით. ძნელი იყო თეთრებისთვის მათი ნდობის გამოწვევა, მაგრამ ზოგიერთმა მაინც შესძლო მეგობრული განწყობილების დაჭერა, მისი გამოყენება და მათი ინტიმური ცხოვრების დაკვირვება. იყო დრო, როდესაც გატაცებით კითხულობდენ მაინ-რიდის, ფენიმორ კუპერის უბოლოო მოთხრობებს და ეგონათ, ინდოელების ცხოვრების სურათსა ვხედავთო. ახლა კი დარწმუნდენ, რომ კუპერის და მაინ-რიდის ყველა ეს მოთხრობები უთავბოლო ფანტაზია და სისულელეა. თანამედროვე მწერლების ნაწერები სულ სხვანაირად გვიხატავენ ინდოელების, ამ მართლა და საინტერესო, თავისუფლების და ბუნების მოყვარული ხალხის, ყოფა-ცხოვრებას.

ქვემოდ მოთავსებულ ნაკვეთში აღწე-  
რილია შეერთებული შტატების ჩრდილო-  
დასავლეთის ერთ-ერთ ინდოელთა ტომის  
ნამდვილი ცხოვრება, ცხოვრება, რომლითაც  
წარსულში სტკბებოდნენ ყველა ინდოელები.

## თ ა ვ ი I

### ინდოელების ოჯახი.

ტბა ჯერ კიდევ კარგად დანისლოული იყო. თითქო მტერს უნდა დაუხვდესო, ისე იწევდა ზევითკენ ნელ-ნელა ნისლი, მზეს ებრძოდა, საშუალებას არ აძლევდა, თავისი სხივები ტყეში მიმოფეხანტა. ამ ბრძოლით და ღრუბლის წინააღმდეგობით უკმაყოფილო მზე ცის აღმოსავლეთის კიდიდან მოწყენით გამოიყურებოდა თავისი ცეცხლოვანი ბურთით.

ტბაზე და ტყეში უკვე ყველა ფეხზე იდგა. გაღვიძებოდათ ლერწამში მოუსვენრად მოფუსფუსე იხვებსაც, გაღვიძებოდა პაწია, ცნობისმოყვარეობით მაცქერალ და ტოტიდან ტოტზე მხტუნავ, ქარივით სწრაფ ციყვსაც. ცვარის დიდი წვეთები თავის ხანმოკლე სიცოცხლეს ესაღმებოდენ, ცისარტყელის ყველა ფერებით ელვარებდენ და ივნისის ცხარე მზისაკენ ასვლას აპირებდენ.

ტბის დასავლეთ მხარეს, პატარა და დაკ-  
ლაკნილი ყურეების შორიახლო, იქ, სადაც  
ტევრი თავდებოდა და შემდეგ უბოლოო  
ჭალიანი მინდორი იწყებოდა, ინდოელების  
მთელი სოფელი გადაშლილიყო. მათი ვიგ-  
ვამები\*) უწყესოდ შორი-შორის იყვნენ გა-  
წყობილნი და ყველანი თითქო ტყეში და-  
მალვას ცდილობდნენ.

ტბის ახლო ტყეში მდგომ ერთ-ერთ  
ვიგვამთან დიდხანია წითელკანიანი, შავ-  
გვრემანი დედაკაცი ფუსფუსებდა. მას სახე-  
ლად ცისფერი ფრთა ერქვა. ცეცხლის ანთე-  
ბას ცდილობდა და გუშინდლიდან დარჩენილ  
ოდნავ მბჟუტავ მუგუზლებს გულმოდგინედ  
უბერავდა. ასანთი არა ჰქონდა, მისი შეძენა  
მხოლოდ თეთრებისაგან შეიძლებოდა ფუ-  
ლით, ფული კი... აბა, საიდან იშოვიდა  
ფულს, შორს, ტყის პირას მცხოვრები ადა-  
მიანი? და ამიტომ ყოველ საღამოს დიასახ-  
ლისი ცდილობდა ნაცრით დაეფარა ნაკვერ-  
ჩხალი, რათა ცეცხლი დილამდე შენარჩუნე-

\*) ინდოელებს არა აქვთ საფუძვლიანი სახლები,  
რომელნიც, როგორც ჩვენში, ერთ ადგილას დგანან.  
კარვები აქვთ, ხეშოთ. ცხოველთა ტყავით ან ჩალით და  
ბალახით დაფარულნი. ამ კარვების, ანუ ვიგვამების,  
ადგილიდან ადგილზე გადატანა ძალიან ადვილია.

ბოდა. დიღით კი მოჰკრეფდა გამხმარ ფოთ-  
ლებს, ფიჩხს და ფრთხილად ცდილობდა ცე-  
ცხლის ანთებას. მაგრამ მოხდებოდა ხოლმე  
და ეს გაუქრობი ცეცხლიც ჩაუქრებოდა; მა-  
შინ ფუტუროსა ჰკრეფდენ და ერთმანეთს  
უხახუნებდენ, მანამ ნაპერწკალი არ გამოჩნდე-  
ბოდა, და ამგვარად აჩენდენ ცეცხლს.



კურდღლის კვალი და მფრინავი მელია ფიჩხისათვის მიდიან

ამ დროს ვიგვამის კარიდან 12 - 13 წლის  
ბიჭის—კურდღლის კვალის—გაბურძგენილი

თავი გამოჩნდა; ვიგვაძიდან იყურებოდა და ნამძინარევე თვალებს ჭუტავდა.

— გაიქე ერთი, კურდღლის კვალო, ფიჩხი მომიკრიფე, თორემ მამა მალე დაბრუნდება და მე კი ჯერ არა მომიმზადებია-რა.

მამა, ვორ-რა-პი, დიდხანია სანადიროდ წასულიყო. სახლში ძალიან ცოტა სიმინდელა დარჩენოდათ, ზამთრის მარაგი თავდებოდა და ნანადირევი მეტად ცოტა იყო. მშობლებს მუცელზე ქამარი მაგრად ჰქონდათ მოჭერილი, რომ შიმშილი ძალიან არ ეგრძნოთ, თვითონ ნაკლები ეჭამათ, მეტი წილი კი შვილებისათვის დაეტოვებიათ. შიმშილის დროს, როცა საჭმლის შოვნა ძნელია, ინდოელები ამ საშუალებას მიმართავენ ხოლმე — მაგრად მოიჭერენ ქამარს — და, მართლაც, შიმშილს უფრო ადვილად იტანენ.

კურდღლის კვალმა თავის რვა წლის მძინარე ძმას — მფრინავ მელას — წაჰკრა ხელი. ისიც წამსვე ფეხზე წამოხტა და ორივენი სწრაფად ცვრიან ბუჩქებში და ბალახში მიიმაღენ. ბიჭები მშივრები იყვნენ და ფიჩხის მოგროვების დროს თვალებს აქეთ-იქით აცეცებდენ — იქნება სადმე მარწყვი ან მაყვალი ვიპოვოთო.

— დედას წაუღე ეს ფიჩხი, — უთხრა ძმას კურდღლის კვალმა, — მე კი შვილდ-ისარი



მომიტანე, იქნება სადმე კურდღელი შემ-  
ხვდეს.

იმ დროს, როდესაც მფრინავი მელა ვი-  
გვამისაკენ მირბოდა ფიჩხით, კურდღლის  
კვალს მარწყვით მოფენილი კორდი ეპოვა  
და ხარბად სჭამდა. თვითონაც კარგად ესმო-  
და, რომ ოჯახში შიმშილია, რომ მამის ნადი-  
რობა არაფერს შესძენს. უკვე რამდენიმე  
დღეა, რაც თვითონაც ცდილობდა რისიმე  
მოკვლას, მაგრამ კი ვერაფერს გახდა. ვიგვა-  
მის ახლო დათესილი მონდამინი\*) და ხორ-  
ბალი-კი მხოლოდ 4—5 კვირის შემდეგ შე-  
მოვა.

მალე მფრინავი მელაც მობრუნდა შვილდ-  
ისრით. ორივეს შიმშილი აწუხებდა, გაფა-  
ციცვებით სჭამდენ მარწყვს და ისე გაერთენ,  
რომ ნადირობაც კი დაავიწყდათ. კარგახანს  
შემდეგ დედამ დაუძახა და ვიგვამისაკენ გა-  
აბრუნა.

მანამ ისინი მარწყვს შეეჭკოდენ, მათმა  
15 წლის დამ—თეთრმა ღრუბელმა—მხარზე  
შედგმული თიხის კოკრით წყალი მოიტანა და  
დედას საუზმის მზადებაში მიეშველა, მერმე

---


\*) მონდამინი—სიმინდს ჰქვიათ ინდოელების ენაზე.

კი საკუჭნაოში ავიდა სიმინდის გამოსატანად. ამ ოჯახის საკუჭნაო იქვე მდგომ უშველებელ ხეზე იყო გამართული. ხის ტოტები ტირიფის წკნელით იყო გადაწნული და ზედ სიმინდის და ხორბლის კალათები ინახებოდა. როცა კარგი დრო ჰქონდათ და ნადირობაც კარგი იყო, ამ საკუჭნაოსთან დათვის შაშხს და ირმის ხორცსა ჰკიდებდნენ. ახლა კი საკუჭნაოში თითქმის აღარა დარჩენოდათ-რა.

მით უფრო უფროთხილდებოდნენ: როგორც კი იქიდან ცოტაოდნენ რასმე გამოიტანდნენ, ბავშვები გულმოდგინედ ცდილობდნენ, საკუჭნაოში შესავალი რაც შეიძლება მაგრად ამოეგოთ, რომ ციყვები არ შეჰპაროდნენ და არ გაენადგურებიათ ის მცირედი სანოვაგე, რაც კიდევ დარჩენოდათ.

ციყვებთან კი მუდმივი ბრძოლან ჰქონდათ: ეს პაწია ცხოველი, თუ მიაგნებდა ინდოელის საკუჭნაოს, აღარ სცილდებოდა და თუ საიდანმე შეიძლება შესვლას, მთელ მარაგს ანადგურებდა. მეტადრე მაშინ იყო ციყვი აუტანელი, როდესაც თვითონაც მთელი მარაგი გამოეღეოდა. მაგრამ ინდოელებიც არა ზოგავდნენ და გაჭივრების დროს ისინიც იმასვე შვრებოდნენ, რასაც ციყვები: ტყეში მიდიოდნენ და ციყვების საკუჭნაოებს

დაეძებდენ. ამ რამდენიმე დღის წინად მფრინავ მელას ციყვის სწორედ ასეთი საკუჭნაო ეპოვა; მართალია, შიგ უკვე ბევრი არა იყორა, მაგრამ მაინც ერთი კალთა კაკალი და სიმინდი მიეტანა ამაყად ქმინ.



ინდოელების სოფელი


თეთრმა ღრუბელმა საკუჭნაოდან სიმინდი გამოიტანა, ქვაზე დაყარა და მეორე გა-

ბრტყელეებული ქვით ღერღვა დაუწყო. მარ-  
ცვალი მთლად რომ დაიღერლა, დედამ შიგ  
რკო ჩაუმატა და ერთად ჩაყარა თიხის ქო-  
თანში, რომელშიაც წყალი უკვე აღუღებუ-  
ლიყო. რადგანაც რკოს ძალიან მწარე გემო  
აქვს, დედას უკვე წუხელისვე დაეღბო. ურ-  
კოოდ სიმინდის მოხარშვა კი შეუძლებელი  
იყო—ძალიან ცოტა-ლა დარჩენოდათ და გა-  
ფრთხილება იყო საჭირო.

მზე უკვე მაღლა იდგა ცაზე, ნისლიც  
გაფანტულიყო. ისე აბრწყინებდა მზე ცვრის  
წვეთებს, ისე ათამაშებდა შიგ თავის სხივებს,  
რომ ეს წვეთები ძვირფას ბრილიანტებად  
გეჩვენებოდნენ. ის იყო საუზმედ დასხდენ და  
სწორედ ამ დროს ბუჩქებში მამაც გამოჩნდა,  
ვორ-რა-პი. მხარზე მოკლული კურდღელი  
ჰქონდა გადაკიდებული. ბავშები გამხიარულ-  
დნენ, თვალები გაუბრწყინდათ, მაგრამ ჩუმად  
იყვნენ და არაფრით არ გამოუთქვამთ თავი-  
სი სიხარული, რომ ძლივს ეღიროსებათ ნოყი-  
ერი საჭმლით გაძლომა.

ერთი გადახედეს და მერმე კი თვალი  
მოარიდეს, ვითომდა ყურადღებასაც არ ვა-  
ქცევთო.

ეს ხალხი ჩვეულია როგორც სიხარუ-  
ლის, ისე მწუხარების დამაღვას და ისე იზრ-



საკუჭნაო ხეზე

დება ბავშობიდანვე, რომ არასოდეს თავის გრძნობას არ ამჟღავნებს. მხოლოდ გოგოებს თუ შეემჩნევათ ხანდახან მათი გრძნობა. გოგოები არიან და ეპატივებათო, — იტყვიან

ხოლო მე კაცები. ქალი კაცზე სუსტია, კაცმა უნდა დაიცვას იგი, ზრუნავდეს მასზე, თვითონ მამაკაცი კი მამაცი უნდა იყოს, ყველაფრის ატანა შეეძლოს, განსაცდელს და გაჭირვებას უნდა ებრძოდეს და მწუხარება და ნაღველი მოთმინებით აიტანოს.

სიხარული თუ ეწია, ინდოელმა იცის, რომ იგი ხანგრძლივი არ არის. სიხარული ისევე გულგრილად უნდა მიიღო, როგორც მწუხარებამ.

ამ წყნარ ვიგვამში, ისევე, როგორც სხვებში, ხალხი დაჩვეულია წყნარ და მშვიდობიან სიცოცხლეს. მათ არა იციან-რა იმ სასოწარკვეთილებისა, ან ძლიერი სიხარულისა, რომელსაც თეთრები გამოიჩენენ ხოლმე. ინდოელი ბავშობიდანვე ეჩვევა იმ რწმენას, რომ უიმშილი ტანჯვა კი არ არის, ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც, მაგ. წვიმა ან ყინვა. წვიმის შემდეგ გაშრობა შეგიძლია, ხოლო თუ ყინვა მოუჭერს, უნდა გაიქც-გამოიქცე და გათბები. სწორედ ამრიგადვე, თუ მშიერი ხარ, ქამარი მაგრად უნდა მოიჭირო და მოთმინებით უკეთეს დღეებს ელოდე, ხოლო მანამ კი იმას უნდა მიჰყო ხელი, რაზედაც ხელი მიგიწვდება.

ჩუმად და მოკრძალებით შეექცეოდა საუზმეს მთელი ოჯახი. თბილ ფაფას საერთო ქოთნიდან იღებდენ ხის კოვზებით. ეს კოვზები თვითონ გააკეთეს და ძალიან უმნოდაც გააკეთეს: ხის ნაჭერი ცოტათი ჩაელრმავებიათ, რომ ფაფის ამოღება შესძლებოდათ. თუ ხორციც ჰქონდათ, ხორცის ნაჭრებს ან პირდაპირ ხელით იღებდენ, ან პატარა წვეტიანი ჩხირებით.

ჩუმად, ფიქრებში გართული უჯდა საუზმეს ვორ-რა-პი და დროგამოშვებით თავის ცოლ-შვილს გადახედავდა ღრმად გამჭვრეტი თვალით. მაღალი, მძლავრი და ჭკვიანი კაცი იყო, სოფლის მიერ წინამძღოლად ამორჩეული. ბევრი რამ ჰქონდა საზრუნავი და საფიქრელი. მთელი ხალხის საქმე მის ხელში იყო. ხალხს მისი სიბრძნე სწამდა და ისიც სწამდა, რომ ღირსეული მზრუნველი ჰყავს და მტრის მოგერებას შეაძლებინებს.

წინანდელ დროს, როდესაც მიწა ძალიან ბევრი ჰქონდათ, როდესაც ამერიკაში თეთრები ჯერ არ მოსულიყვნენ, როდესაც თვალგადუწვდენელი მინდვრები—პრერიები—გარეული კამეჩების უთვალავი ჯოგებით იყო სავსე, — ტომის უფროსის და წინამძღოლის საქმე უფრო ძნელი იყო: უნდა სცოდნოდა,

როდის ემჯობინებოდა გარეული კამეჩების  
კვალდაკვალ ახალ ადგილებში გადასახლება,  
სად უფრო მეტი იქნებოდა სანადირო, რომ



ჩრდილო-ამერიკის ინდოელი

ხალხი შიმშილს არ შეეწუხებია. უნდა მო-  
ეფიქრა, როგორ უნდა გაეყო ნადავლი, რომ



ყველას თანასწორად რგებოდა და ერთს  
გადამეტებული არა ჰქონოდა, როდესაც  
მეორე ნაკლებობით იტანჯებოდა, რომ მდი-  
დარ-ღარიბი არავინ ჰყოლოდა და ყველა  
ერთნაირად, ძმურად დაეკმაყოფილებია, რო-  
გორ დაეფარა ხალხი მტრულად განწყობილი  
ტომების შემოსევისაგან და სხვ.

ახლა საქმე ნაკლები იყო, მაგრამ მაინც  
ძალიან ძნელი. მას შემდეგ, რაც თეთრები  
ჩამოსახლდნენ და მიწა ყველგან ქალაქებით,  
სოფლებით და რკინის გზებით მოჰფინეს,  
გარეული კამეჩების ჯოგები აღარსად მოიპო-  
ვება. ტყეში ნადირს ველარა ნახავთ: ირემი,  
ქურციკი, დათვი—ყველა გაიხიზნა შორს, და-  
სავლეთისკენ, კლდოვან მთებში, იმ უდაბური  
და უნაყოფო ქვეყნისკენ, რომელიც თეთრი  
ადამიანისთვის ჯერ საჭირო არ არის. ამ და-  
შინებულ ნადირთა ჯოგებს ქვეყნის პირვან-  
დელი პატრონი ინდოელიც თან მისდევდა,  
მაგრამ მაინც ნადირობა ახლა ბევრს არას  
აძლევდა. მიწა ინდოელს სულ უფრო და  
უფრო ნაკლები რჩებოდა, ადგილიდან ადგილ-  
ზე გადასვლაც დღითი-დღე უძნელდებოდა.  
თეთრები დაეპატრონენ დედამიწას, ინდოე-  
ლების კუთვნილ მამა-პაპეულ მიწას და ინ-  
დოელებს თავისთან არ უშვებდნენ, არ უყვარ-

დათ, სძულდათ წითელკანიანები და ცოდვად არც კი სთვლიდენ საწყალი ხალხის ამოწყვეტას.

ინდოელებშიც თანდათან იზრდებოდა სიძულვილი და მტრობა ამ ვერაგი და ტლანქი ხალხისადმი.

თეთრი სრულიად მაძლარიც რომ არის, მაინც ჟლიტავს ცხოველს და ფრინველს, სჩეხავს ტყეს, სჭრის უშველებელ ხეებს და იმოდენა სახლებს იშენებს, რომ შიგ თამამად რამდენიმე ასი კაცი მოთავსდება, თეთრი კი შიგ მარტოდ-მარტო ცხოვრობს.

თეთრი მარტო სხვისი მოტყუებით ხარობს; თეთრმა მოტყუებით წაართვა ინდოელებს მიწა და ახლა სულ უფრო და უფრო შორს მიერეკება.

ძნელია წინამძღოლებისათვის თავისი ტომის ხალხში თეთრებისადმი დაგუბებული ზიზღის და მძულვარების შეკავება. ასეთი გრძნობით გატაცებული ინდოელები ყოველთვის მზად არიან თავს დაესხენ და დედაბუდიანად ამოჟლიტონ თეთრების მთელი მოდგმა, ოღონდ კი როგორმე გასწმინდონ და გაათავისუფლონ თავიანთი ოდესღაც უსახლვროდ უხვი და მდიდარი, ტყეებით და ნადირით სავსე ქვეყანა.

იციც ეს ყველაფერი ვორ-რა-პიმ, მაგრამ ისიც იციც, რომ მათ, ინდოელებს, ხელშეკრულება აქვთ თეთრებთან დადებული. ამ ხელშეკრულების ძალით ინდოელებს მხოლოდ ის მიწა ეკუთვნის, რომელზედაც ახლა ცხოვრობენ. რაც უნდა გაუჭირდესთ, ინდოელებს ნება არა აქვთ ამ საზღვარს გასცილდნენ. ამ ხელშეკრულების ძალით ომის უფლება არ აქვთ თეთრებთან, არც ერთმანეთს შორის. თეთრებმა იკისრეს მოვალეობა, იზრუნონ, რომ ინდოელებს არავინ დაეცეს და არა ავნოს-რა. თუ სანოვავე გამოვლევათ და მისი შოვნა ძნელი გაუხდებათ, თეთრები მოვალენი არიან ხორბალი და სიმინდი მისცენ. იციც ეს ვორ-რა-პიმ და ცდილობს, რომ მისმა ხალხმაც პირნათლად შეასრულოს მიცემული სიტყვა. ინდოელისათვის მომაკვდინებელი ცოდვაა დადებული სიტყვის შეუსრულებლობა და თუმცა ვორ-რა-პი კარგადაა ხედავს, რომ თეთრები ხშირად შეურაცხყოფენ და ატყუებენ მათ, ინდოელებს, მაგრამ ამას თეთრების შეუგნებლობით და ველურობით ხსნის: მათ ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებიათ პატიოსნების და სამართლიანობის ის ცნებები, რომლებითაც ცხოვრობენ და ხელმძღვანელობენ ინდოელები.

დიახ, ძნელი გახდა ახლა ადგილიდან ადგილზე გადასვლა; დიდხნობით რჩებიან ინდოელები თავისი ვიგვამებით ერთსადაიმავე ადგილზე და ცდილობენ თავისი ვიგვამების ახლო სიმინდის (მონდამინის), ბრინჯის, ხორბლის, ნესვის, თამბაქოს მოყვანას, მოყვანას ისე, როგორც მათ წინაპრებისაგან აქვთ გაგონილი და ნასწავლი.

ოჯახმა საუბრე გაათავა. დედა და ქალი მონდამინის გასამარგლავად წავიდენ. ტბიდან წყალი უნდა მოეტანათ და მონდამინის მწყურვალე ფესვები მოერწყოთ, ისე, როგორც ასწავლიდა მათ ბრძენი წინამძღოლი ვუნავმონი, რომლის შესახებ იმდენი თქმულებაა ხალხში გავრცელებული. ბიჭებიც ადგენ. მფრინავი მელა სათევზაოდ წავიდა ტბისაკენ, იქ მდგომ ნავს მიაშურა, კურდღლის კვალი ტყეში გაიჭრა სანადიროდ.

ვორ-რა-პი კი იჯდა მბჟუტავ ნაკვერჩხლებთან და ჩუმად, გულმოდგინედ ათავებდა თავისი გრძელი ჩიბუხის წვეს. ბოლოს ისიც წამოდგა, წელში გაიმართა და „დიდი მკურნალის“ ვიგვამისკენ გასწია.

---

## თ ა ვ ი ი I.

### თქმულება მონდამინზე.

თითქმის ტყის სიღრმეში იდგა ვიგვამი, რომელშიაც მოხუცებული იაგუ ცხოვრობდა. აღარ შეეძლო ბებერ იაგუს აღარც ცხენზე მარჯვედ ჯდომა, აღარც ნადირის მოსაკლავად ტყეში და მინდორში თარეში. თვალმა უმტყუნა, დაუძლოურდა ოდესღაც სწრაფი ფეხი.

იაგუ მთელი დღე თავის ვიგვამში ზის, და მხოლოდ მზიან დღეს თუ გამოვა გარეთ, ჩრდილში ჩამოჯდება, კალათს სწნავს ან ისარს აკეთებს. მეტად ხელოვანი მოხუცია იაგუ. მაგრამ უფრო მარჯვე და ხელოვანი ამბების თხრობაში არის. არავინ არ იცოდა ძველთაგან მოდგმიდან მოდგმაში გადმონაცემი იმდენი თქმულება, რამდენიც იაგუმ.

ცოცხალი წიგნი იყო. და ამიტომაც იაგუსთან ყოველთვის იკრიბებოდა ხალხი. ყვე-

ლას უყვარდა მისი ამბების მოსმენა და როდესაც ცა ბრწყინვალე ვარსკვლავებით მოიფინება, როდესაც ტყის შრიალი სრული დუმლით შეიცვლება, ხოლო სარკესავით სწორ ტბაში ცის მნათობნი ჩაისახებიან, — იაგუს ირგვლივ შეიკრიბებიან მოხუცებული და ახალგაზრდა ინდოელები. შეიკრიბებიან, იქვე მიწაზე დასხდებიან, ჩიბუხს მოუკიდებენ და იაგუს უბოლოო ამბებს ისმენენ. აი, რას მოგვიტხრობს მოხუცი იაგუ ინდოელების გამაბედნიერებელ მონდამინზე — სიმინდზე:

— დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, იმდენად დიდი ხანი, რომ უმხცოვანესი მოხუცებულნიც კი ჯერ არ დაბადებულიყვნენ. მამაცი და ბრძენი ვუნავმონი ცხოვრობდა იმ დროს.

ხედავდა ვუნავმონი თავისი ხალხის ტანჯვას შიმშილის გამო, ხედავდა, როგორ მარა იჭერდენ ქამრებს მძლავრი და გაბედული მხედარნი, რომ წვრილშვილისთვის და მოხუცებულთათვის მიეწოდებიათ საჭმელი. დასევდიანდა მაშინ თავის ვიგვამში მჯდომი ვუნავმონი, მიმართა ყოვლად შემძლე სულს, გიტჩი მანიტოს, იმას, ვინც ყველგან სიყვარულსა და სათნოებას სთესავს, ქვეყნის ყველა ერების გამგებელია, და სასოწარკვეთით

შეჰლაღადა: — ო, დიდო გიტჩი მანიტო! ნუთუ მთელი ჩვენი სიცოცხლე ბატებზეა დამოკიდებული, იმ ბატებზე, რომელიც ზამთარში გვტოვებენ და სხვა ქვეყანაში მიფრინავენ? ნუთუ ჩვენი ცხოვრება ნადირზეა დამოკიდებული, რომელიც გაგვირბის, ანდა თევზზე, რომელიც მაგარი ყინულის საფარველის ქვეშ გვემალება? ო, დიდო გიტჩი მანიტო! შეგვეწიე, გვასწავლე რამე, რომ მათზე დამოკიდებულნი არ ვიყოთ.

და დანაღვლიანებული, სევდით მოცული, მშვიერი ვუნავმონი თავის ვიგვამში იწვა და აღგზნებული თვალებით ჩამავალი მზის ოქროს სხივებს მისჩერებოდა. უეცრად მისი ვიგვამის კარი ერთმა მშვენიერმა ყმაწვილმა შეაღო. მწვანე-მოყვითალო ტანისამოსი ეცვა, რბილი და ოქროსფერი თმა ჰქონდა, თავს კი აფრიალებული ფრთები უმშვენებდა. სევდის თვალით შესცქეროდა იგი ბრძენ და მამაც ვუნავმონს. ვუნავმონმა ვიგვამში შეიპატოჟა, დასვა და მშვიდობის ჩიბუხი მიაწოდა.

— ღაღადი შენი შეწყნარებულ იქნა, რადგან შენ ყველა ტომების და ხალხების ბედნიერებას და კეთილდღეობას მოითხოვ, — დაიწყო უცნობმა. — ვინა ხარ შენ? — ჰკითხა მან ვუნავმონს.

— მე ვუნავმონი მქვიან, მე მძლავრი ვარ.  
შენ ვილა ხარ?

— ახლა ვერ გეტყვი ჩემს სახელს, — უბასუხა უცნობმა, — დავიჭიდნეთ და, თუ მაჯობე, დიდ ბედს ვწევ მთელ შენ ხალხს და მხოლოდ მაშინ გაგიმჟღავნებ ჩემ სახელს.

და დაეჭიდა ვუნავმონი უცნობს და როგორც კი უცნობს ხელი შეახო, მაშინვე იგრძნო ვუნავმონმა, რომ მისმა ძალამ ერთი-ათად იმატა. დიდხანს იჭიდავეს. მზე ჩავიდა, უკვე დაღამდა.

უცნობმა გამოაცხადა, — დღეისათვის კმარა, ხვალ ამავე დროს მოვალ და კვლავ ვიჭიდაოთო.

ასე იჭიდავეს სამი დღე. მესამე დღეს თავდებოდა, მზე ჩადიოდა და შეწუხდა ვუნავმონი: იმიტომ ჩადის მზე, რომ ჩემი სისუსტისა შერცხვაო. მთელი თავისი ძალღონე შემოიკრიბა, მძლავრი ფეხებით უფრო მაგრა დაეყრდნო მიწას და ძირს დასცა უცნობი.

— ახლა ხომ ხედავ, რომ გამარჯვება ჩემია, უცნობო, — შეჰყვირა ვუნავმონმა. მითხარი შენი სახელი.

— ჩემი სახელი მონდამინია, — უბასუხა უცნობმა, — ხოლო ჩემი სხეული — ბედნიერე-





ეს სიმინდია, საზრდოა შენი

ბაა შენტვის და შენი ხალხისათვის: დამმარ-  
ხე, დაათარე ჩემს ტანს რბილი მიწა და ყური  
მიგდე, რომ შავი ყორანი არ დამათრინდეს

და არ დამკენკოს. არ დამივიწყო და, ერთი თვის შემდეგ რომ მოხვალ, კვლავ მიხილავ.

ვუნავმონმა უცნობის სიტყვა შეასრულა. განვლო თვემ და როცა მონდამინის საფლავზე მივიდა, მიწიდან ამოფრიალებული საუცხოო მწვანე ფრთები იხილა, ამ მწვანე ფრთებიდან ნაზი, გალობის მსგავსი, ხმა მოისმა:

— აქ იზრდება, ვუნავმონ, მარცვალი — შენი და შენი ხალხის საკვები, მონდამინის ნაბოძვარი. გაუფრთხილდი ამ მცენარეს. როდესაც გაიზრდება, დიდი ფოთლებით შეიმოსება, ტაროს გაიკეთებს, რომელზეც ფოჩვი აფრიალდება. ჯერ მწვანე და რბილი იქნება, შემდეგ-კი ნელ-ნელა გაყვითლდება და გაშავდება. მოაგროვე მაშინ მისი მარცვალი და შენს ხალხს შესძლვენ. საკვებად იხმაროს იგი ხალხმა და დღესასწაული გამართოს ხოლმე მონდამინის სადიდებლად ნაყოფის თვეში.

მოჰკრიფა ვუნავმონმა მარცვალი ნაყოფთა თვეში და უბრძანა ხალხს დღესასწაულის გამართვა. მონდამინის საჩუქარს შეექცეოდა ყველა და ყველა ბედნიერი იყო. ეს საჩუქარი ხალხს შიმშილის კლანჭებიდან იხსნიდა და მას შემდეგ ხალხი წმინდად ასრულებს

ვუნავმონის აღთქმას: წმინდად ინახავს მონ-  
დამინის საფლავს და წყალს არ აკლებს მი-  
წაში ჩაფლულ მონდამინის მარცვალს.

### თ ა ვ ი III.

#### სამუშაოზე.

ვიგვამი დაცარიელდა. მხოლოდ ბრწყინ-  
ვალე მზეს მოეფინა მიდამო თავისი მწველი  
სხივებით. ხანდახან ტყის თავვი თუ გაიბენს  
სადმე, რომელიც სწრაფადვე იმალება. შარ-  
შანდელ გამხმარ ფოთლებში, ან სადმე ხეზე  
გაიხმაურებს გუგული, თითქო გვრიტების  
ნაზი ღულუნი სწყინსო.

დედა, ცისფერი ფრთა, სამუშაოდ მიდი-  
ოდა. თავისი ძუძუმწოვარი ბავში პარკში  
გამოეკრა და გუდასავით ზურგზე ჩამოეკიდ-  
ნა. პარკიდან მოჩანდა თავი ორი შავი, რგვა-  
ლი და უშველებელი თვალით. დედას ქალი  
მიჰყვებოდა, თეთრი ღრუბელი. ორივენი მინ-  
დორში მიდიოდენ სიმინდის ყანაში სამუშა-  
ოდ. სხვა ვიგვამების ქალები უკვე შეკრები-  
ლიყვნენ. სამუშაო ბევრი ჰქონდათ და დიდი  
სიფრთხილითაც ეკიდებოდენ, რადგან კარ-  
გად იცოდენ, რომ მონდამინია ზამთარში მა-  
თი მხსნელი და მარჩენელი.



დედაკაცები სამუშაოდ მიდიან

მინდორში მისვლისას დედამ პარკში შე-  
კრული ბავში ხეზე ჩამოჰკიდა, თვითონ კი

მუშაობას შეუდგა: ბავში მარტო არ იყო:  
ასეთივე პარკები ბავშვებით ყველა ახლო-



სიმინდის ტეხა

მახლო ხეებზედაც იყო ჩამოკიდებული. ზოგ  
ბავშვს ეძინა, ზოგი ცნობისმოყვარეობით

აჭყეტიდა თავის დიდრონ თვალებს. ყვირი-  
ლით კი არცერთი არა ყვიროდა. ყველანი  
წყნარად ისხდნენ ლაფანის მაგარ, შიგნით  
რბილი ხავსით მოფენილ, პარკებში და მხო-  
ლოდ აქეთ-იქით იჭყიტებოდნენ. პაწია ბავშვებ-  
საც მეტად განვითარებული ჰქონდა ალლო,  
რომელიც აიძულებდა მათ, რომ ასეთ უხერ-  
ხულ მდგომარეობაშიც კი წყნარად, ჩუმად  
მჯდარიყვნენ. ეს ალლო რამდენიმე საუკუნის  
განმავლობაში განვითარებული გრძნობა იყო.  
უწინ, როდესაც ინდოელები მუდამ, ადგილი-  
დან ადგილზე გადადიოდნენ, შტრულად გან-  
წყობილ ტომების შეხვედრას ერიდებოდნენ,  
დიდი სიფრთხილე და ხშირად სრული დუ-  
მილი სჭირდებოდათ, ისე რომ ბავშვებს ტი-  
რილის ნებასაც არ აძლევდნენ. და ძუძუმწო-  
ვარა ბავშვები სიჩუმეს მიეჩვიენ და ისევე  
ჩუმად არიან, როგორც მწყერის ბარტყები  
ან მელის ლეკვები, რომელნიც ხიფათის მო-  
ახლოვებისას ფოთლის ან ბუჩქის ქვეშ ისე  
გაიტვრინებიან ხოლმე, რომ მტრის დაცემის  
დროსაც კი არ გაინძრევიან.

მაგრამ დღეს ბავშვებმა ჩვეულებას უმ-  
ტყუნეს, დაიყვირეს და მით დედებს ნიშანი  
მისცეს—გვიშველეთო. სიმინდში მუშაობის  
დროს ქალები ბავშვებს სულ უფრო და უფრო

შორდებოდენ და არც კი შეუმჩნევიათ, რომ ხეებზე პარკებში დაკიდებულ ბავშვებს ტყიდან გამომძვრალი დათვი ეპარებოდა. დათვი ნელ-ნელა და ჩუმად ბავშვებისაკენ მიბობლავდა; უთუოდ, გემრიელი სუნი ეცა, ან ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდა. აგერ, მი-



დათვს გემრიელი სუნი ეცა და ბავშვებს მიეპარა

უახლოვდა, თვალები დაუჭყეტია და გემრიელ საჭმელს ათვალთვრებს.

ბავშებიც ჯერჯერობით ცნობისმოყვარე თვალით უცქეროდნენ ახალმოსულ ბანჯგვლიან სტუმარს. მერმე კი გაისმა ყვირილი, შემდეგ მეორე, მესამე. მობრუნდნენ დედები



დედაკაცი თინას ზელს

და ბავშებისაკენ გამოქანდნენ. დროს დაკარგვა შეუძლებელი იყო, უნდა მიშველებოდნენ შვილებს, მაგრამ ხელცარიელნი დათვთან რას გახდებოდნენ? დათვი საშიშარი მხეცია... ერთმა ქალმა უშველა ბავშებს: შურდულივით გაექანა უახლოესი ვიგვამისაკენ და შვილდ-ისარი გამოიტანა. განსაცდელი დიდია. უთუოდ უნდა მოარტყას. აცდენა შეუძლებელია: გაშმაგდება მხეცი და დიდ



უბედურებას დაატრიალებს. ქალი დათვის  
შორიახლო გაჩერდა, ერთ მუხლზე დაიჩოქა,  
მარჯვედ დაუმიზნა. დანარჩენი ქალების სა-  
მარისებური დუმილის და ლოდინის დროს  
შვილდი მოზიდა და ისარი სტყორცნა. ისარი  
მხეცს შიგ თვალში ეცა. დაჭრილი დათვი



თიხას სორსლავს

სიმწარით ერთ ადგილზე დატრიალდა, თათი  
თვალზე მოისვა, თვალიდან კი წურწურით  
სისხლი გამოსდიოდა. კიდევ ერთი ისარი...  
საქმის გათავებაში სხვა ქალებიც მიეშველენ  
და წალდებით ხელში მივარდენ დარეტოიანე-  
ბულ მხეცს.

იშვიათი შემთხვევა იყო. გულად დედას გონება არ დაბნევია, მთელი თავისი სიმამაცე და სიმარჯვე გამოიჩინა და მამაკაცზე არა ნაკლებ მარჯვე მსროლელი აღმოჩნდა. ახლა დიდხანს ექნებათ ვიგვამებში სალაპარაკოდ ამ დედის თავდადებული საქციელი.



ქოთანს აკეთებს

იქნება 100 წლის შემდეგაც ახალი იაგუ სიამაყით უამბობდეს თავის თანამედროვეთ ამ ამბავს და ამასაც უმატებდეს, რომ მისი ერის ქალები კაცებს არაფერში ჩამოუვარდებიან, რომ ქალს ისევე უნდა აფასებდენ და პატივსაცემდენ, როგორც კაცს.

ინდოელი ქალი მთელი დღე საქმეშია გართული. თითქო ადვილი და მარტივია მისი მეოჯახეობა, მაგრამ მთელი ოჯახი მას აწევს კისერზე: საჭმელიც უნდა მოამზადოს, ბავშვებსაც თვალყური ადევნოს, ჭურჭელიც გააკეთოს, კალათიც დასწნას, შალიც მოქსოვოს.



დედაკაცი სხვადასხვა სახეებს ხატავს ჭურჭელზე

ტყუილად კი არ იყო ცისფერი ფრთა წინამძღოლის ცოლი: რამდენადაც სახელგანთქმული იყო კაცებში თავისი სათნოებით და ვაჟკაცობით მისი ქმარი, იმდენადვე ცნობილი იყო თვითონ ცისფერი ფრთა ქალთა შორის საშინაო საქმეების ცოდნით და სი-

მარჯვით. თიხის ისეთ სამაგალითო ჭურჭელს აკეთებდა, რომ თეთრებსაც კი რჩებოდათ ამ ჭურჭელზე თვალი და ხშირად ყიდულობდნენ კიდევც, მაგრამ სახმარებლად კი არა, არამედ თავისი ოთახების მოსართავად და



ჭურჭლეულობის მომზადება გამოსაწვავად

ისე უფროთხილდებოდნენ, როგორც რაიმე ძვირფას ნივთს. ცისფერი ფრთა ხშირად უამბობდა ხოლმე თავის ქალს, როგორ ისწავლეს მათმა წინაპრებმა თიხის ჭურჭლის გაკეთება.

ერთხელ როგორღაც მათი ტომი მდინარის პირას დასახლებულიყო. ქალები ამ მდინარეზე წყლის მოსატანად დადიოდნენ, ბიჭები საქონელს მირეკავდნენ ხოლმე წყლის დასალევად. ბავშებიც ხშირად იქვე თამაშობდნენ, ტალახის ტიკინებს და ცხოველებს აკეთებდნენ



უკვე დამზადებული და დახატული ქოთნები

დადგა ცხელი თვე—ივლისი; მინდორში ბალახი გახმა: მზეს დაეწვა, და საქონელსაც საკვები აღარა ჰქონდა.

ინდოელებმა თავისი ვიგვამები დაშალეს, ჯორებს აჰკიდეს და მთებისაკენ გასწიეს, სა-

დაც უფრო მეტი საკვები უნდა ყოფილიყო. მთელი ზაფხული იქ გაატარეს, შემოდგომაზე კი კვლავ იმავ ადგილებს დაუბრუნდნენ.

დედა თავისი შვილებით მდინარეზე ჩავიდა და გაზაფხულზე ბავშების ხელით ყვითელი ტალახიდან გაკეთებული ტიკინები იპოვა. მაშინ თვითონაც სცადა ამავე ტალახის ქოთნის გაკეთება, შემდეგ მზეზე გამოაშრო და შიგ წყალი ჩაასხა. მაგრამ ქოთანი მალე დაღბა და გაფუჭდა, ხოლო მეორე ქოთანი, ბავშების მიერ გაკეთებული, უცაბედად ცეცხლში ჩავარდნობდათ. ცეცხლი რომ ჩაქრა, ბავშებმა იპოვეს და წყლით აავსეს. ქოთანი არ გაფუჭებულა და წყალიც შიგ მშვენივრად შეინახა.

დაინახა ეს დედამ და მეორე ქოთანი გააკეთა, მერმე ცეცხლზე ჰქონდა დიდხანს, შემდეგ კი, რომ გაცივდა, შიგ წყალი ჩაასხა. ქოთანი არც დარბილებულა, არც წყალი გამოუშვია. ამნაირად ქალმა რამდენიმე ქოთანი გააკეთა. გაიგო ეს ტომის წინამძღოლმა და უბრძანა ქალებს, თქვენც ისწავლეთ იმ ქალისაგან ხელობაო. მას შემდეგ ინდოელებმა ისწავლეს თიხის ჭურჭლის გაკეთება.

ცისფერი ფრთა ახლა უბრალო ქოთნებს კი არ აკეთებდა, როგორც მისი წინაპრები,

მშრალ თიხას ან გატეხილი თიხის ჭურჭლის ნამსხვრევებს აიღებდა, დიდსა და სწორ ქვაზე დაყრიდა და მეორე ქვით ნაყავდა, ფქვავდა. შემდეგ ცოტაოდენ წყალს დაუმატებდა და ცომს აზელდა. მერმე კი ამ სქელი ცომისას რგვალ ლამბაქს აკეთებდა, ჭურჭლის ძირს.


ბავშებს უყვარდათ დედის ეს მუშაობა და სულ თავს დასტრიალებდენ, შველოდენ კიდევ, რითაც კი შეეძლოთ. თეთრი ღრუბელი კი უკვე ძალიან კარგი თანაშემწე იყო და ისეთივე ჭურჭლის გაკეთება შეეძლო, როგორსაც მისი დედა აკეთებდა.

ჭურჭლის ძირს რომ დაამზადებდენ, თიხას გრძლად დაასორსოლავებდენ, დასორსლებულს დამზადებულ ლამბაქს დაახვევდენ და ფრთხილად და მაგრად ძირზე დაამაგრებდენ. დასორსლებული ერთი-მეორეს ეხვეოდა, უფრო და უფრო მაღლა, ნაჩვევი თითები კი ამ დროს მარჯვედ სრესავდენ მათ და ჭურჭელს სასურველ ფორმას აძლევდენ.

ბოლოს ჭურჭელი მზად იყო. მაშინ ცისფერმა ფრთამ აიღო პატარა მაგარი ჩხირი და ამ ჩხირით ჭურჭლის შიგნით და გარედან უსწორმასწორო და ხორკლიან ადგილებს სწორება დაუწყო. ასეთი გასწორებების შემ-

დევ ქალმა კურდღლის თათი რაღაცა სითხეში ჩააწო, ჭურჭელს წაუსვა და პატარა ქვით ლესვა დაუწყო. ჭურჭელი სრულიად უხორკლო და ბრწყინვალე გახდა.

— ახლა კი უნდა შევღებოთ, — მიუბრუნდა იგი თეთრ ღრუბელს. იმანაც საღებავით სავსე რამდენიმე ქოთანს მოიტანა და ცის-



ინდოელების თიხის ჭურჭელი

ფერი ფრთა ჭურჭელზე სხვადასხვა სახეების გამოყვანას შეუდგა. ამ დროს სხვა ბავშვები უკვე იქვე ვიგვამთან პატარა ქურაში ცეცხლს ანთებდენ. შეღებვის შემდეგ ჭურჭელი ფრთხილად ქურაში ჩასდეს და იქ იმ დრომდე დასტოვეს, სანამ სრულიად გამოიწვებოდა. ცისფერმა ფრთამ იცოდა, რომ



თეთრებს სხვადასხვა ნაკვთები უყვართ და ამიტომ ხშირად ქოთნებს იხვის ან ცხვრის სახისას აკეთებდა და, მართლაც, ასეთს ქოთნებს თეთრები სიამოვნებით ყიდულობდნენ.

## თ ა ვ ი IV.

როგორ გადაარჩინეს ქალებმა განსაცდელს ხალხი.

როდესაც საღამოზე ინდოელები იაგუს ვიგვამთან შეიკრიბენ, სალაპარაკო მხოლოდ ბავშვებთან მიპარული დათვის მკვლელი ქალის სიმამაცე და სიმარჯვე ჰქონდათ. ყველა გაკვირვებული იყო ქალის გულადობით. მხოლოდ იაგუ ჩუმად, დაფიქრებული ყურს უგდებდა მათს ლაპარაკს, გავარვარებულ ნაკვერჩხალს შესცქეროდა და თავის გრძელ ჩიბუხს ეწეოდა.

ქალის საქციელით მეტადრე ახალგაზრდობა იყო აღტაცებული. ესენი ქალს კაცზე დაბლა აყენებდნენ და დარწმუნებული იყვნენ, ქალს არ ძალუძს იმდენი, რაც გაბედულ კაცს შეუძლიაო.

შეიკრა შუბლი, შეიჭმუნა წარბი მოხუცმა იაგუმ. ბოლოს თავისი ჩიბუხი გან-

ზე გადასდო, ბოძს მიაყუდა და ყველა მიხვდა, რომ იაგუს ლაპარაკი სურს და ყველანი გაჩუმდნენ.

— სწორედ არა ლაპარაკობთ, — წარმოსთქვა მან, — წინანდელ დროს სხვა აზრისანი იყვნენ ქალზე. ჩვენი ბრძენი წინაპარნი ერთნაირი პატივისცემით ეპყობოდნენ როგორც ქალს, ისე კაცს. აი, ყური დამიგდეთ, ერთსამაგალითო შემთხვევას გიამბობთ.

ერთხელ როგორღაც მტრულად განწყობილ ტომს ტყვედ ჩაუვარდა ორი ინდოელი ქალი. მტერმა ამ ქალებს თავისუფლება აღუთქვა იმ პირობით, თუ ისინი მტრის ჯარს იმ ადგილთან მიიყვანდნენ, სადაც ჩვენები იმალებოდნენ.

ქალები ჩაფიქრდნენ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თანხმობა განაცხადეს, — მზადა ვართ თქვენ და თქვენს ჯარს გავუძღვეთო... მზადა ვართ ჩვენი ხალხი გავცეთ, ოღონდ ბევრი ნავი მოაგროვეთ მდინარეზე, შიგ ჩასხედით ყველანი და ჩვენ გამოგვყევითო. ყველას გაუხარდა, ნავებში ჩასხდნენ, მრავალი ნავი გაცურდა მდინარეზე, მრავალი მამაცი მხედარი იჯდა შიგ. ყველაზე წინ კი ის ნავი მიცურავდა, რომელშიაც ჩვენი ქალები ისხდნენ. გაჩუმებული და ჩაფიქრებული ისხდნენ ქალები.

ბი ნავში, მათი გული კი წინაგრძნობით  
ილაგებოდა.

მდინარე თანდათან ვიწროვდებოდა, ხო-  
ლო მდინარება კი უფრო და უფრო სწრაფი  
ხდებოდა. უკანა ნავებში მსხლომარე წინა-  
მძლოლები ეკითხებოდნენ, გზა ხომ არ აგე-  
რიათო?

— არა, ეს უახლოესი გზაა იმ ადგილა-  
მდე, სადაც თქვენ მიისწრაფებით, — უპასუხა  
ქალმა, — შვილდ-ისარი დაამზადეთ, ახლავე  
მივალოთ.

ქალები ნავებში ფეხზე ადგენ, მდინარე-  
ბა კი სულ უფრო სწრაფი ხდებოდა, ნავის  
გარშემო წყალი შხუოდა და განაპირს მდე-  
ბარე ქვებს ეჯახებოდა. ქალებმა თავისი ხო-  
ფები წყალში ჩაყარეს და, თითქო ლოცუ-  
ლობენო, წინ ისე იყურებოდნენ. უცბად მა-  
თი ნავი გაჩერდა. ქალებს ჩვენი ტომის საო-  
მარი ძახილი აღმოხდათ. კიდევ ერთი წამი,  
და ნავი დატრიალდა, კლდეს დაეჯახა და  
ჩანჩქერისაკენ გაექანა.

დაიღუპენ ქალები, მაგრამ დაიღუპენ  
ყველა ის ნავებიც, რომელნიც მათ მისდევ-  
დნენ. ამოწყდნენ წინამძლოლები და მამაცი  
მხედრები, ამოწყდა მთელი იმათი ჯარი,

ჩვენი ხალხი კი გადარჩა სისხლის ღვრას და მონობას. ქალებმა გაადარჩინეს ხალხი.

და ახლაც, დღესასწაულის დროს, ქალები ყოველთვის გალობენ ამ მამაცი და უშიშარი, თავისი ხალხისათვის თავდადებული ქალების სწდიდებელ სიმღერას. ხსოვნა მათი სამარადისო იქნება ჩვენს ხალხში.


## თ ა ვ ი V.

### ბავშთა ცხოვრება.

დიდხანს იჯდა ტბაზე თავის ნავში მფრინავი მელა და მოთმინებით ელოდებოდა, იქნება თევზი დავიჭიროო. მზე უკვე მალლა იყო და ძალიანაც ცხელოდა, ამას კი ჯერ არაფერი დაეჭირა. ამ დროს ტბაზე კურდღლის კვალიც მოვიდა. კურდღლის კვალი დიდიდან სანადიროდ ყოფილიყო, მაგრამ ვერა მოეკლა-რა და ახლა ძმას აუხირდა, ტყეში წავიდეთ, მდინარეზე, ამ დროს იქ ყოველთვის მოიპოვება ნადირი, თევზიც ბევრი იცისო. მფრინავმა მელამ ამოიღო თავისი ანკესი და ძმები გზას გაუდგენ.

თუმცა კურდღლის კვალი ჯერ სულ ყმაწვილი იყო, მაგრამ თავი ისე ეჭირა, რო-

გორც ვაჟკაცს. სერიოზული და დაფიქრებული სახით მიაბიჯებდა და მის ყურადღებას ტყეში არა გამოეპარებოდა-რა. ხშირად უვლია მამასთან ერთად სანადიროდ, ხშირად უფროსების ახლო მჯდარა, როცა იაგუ ან კაგავი უწინდელ ამბებს უამბობდენ, ან ბუ-



ინდოელების ნავი

ნების და ქვეყნის შესახებ ინდოელთა შეხედულებაზე ლაპარაკობდენ. კურდღლის კვალს ყველაფერი ახსომდებოდა და თვითონაც ასეთი შეხედულებით იმსჯვალებოდა.

ეს ტყე, რომლითაც იგი მიდიოდა, წყარო, ქვები, ფრინველი, მზე—მისთვის ყველაფერს ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდა, ყვე-

ლაფერი მისთვის ნათესაური იყო, ყველაფერი სულდგმულობდა. მართალია, მან არ იცოდა მცენარეთა მეცნიერული სახელწოდება, არ იცოდა ცხოველთა ზოოლოგიური სახელები, ასტრონომია არ შეესწავლა... მაგრამ სამაგიეროდ კარგად იცნობდა ვარსკვლავებს და თანავარსკვლავებს, იცოდა მათი ურთიერთისადმი მდებარეობა და ლამით მათი სვლა. ლამე თუ ტყეში დარჩებოდა, ისევე ადვილად გაიგნებდა სახლამდე გზას, როგორც დღისით. სრულიად სწორად შეეძლო დღისით მზის და ლამით ვარსკვლავების მიხედვით დროის განსაზღვრა. საათი სრულიადაც არ სჭირდებოდა.

აგერ ჭარლი აფრინდა, თეთრსაყელოიანი ჭარლი. კურდღლის კვალმა თვალი გაადევნა.

— იცი, ჭარლს რათა აქვს თეთრი საყელო? ჰკითხა მან ძმას.

— არა! განა შენ კი იცი? აბა, მიაბე.

კურდღლის კვალმა დაიწყო ძველი თქმულება:

„დიდ მინაბოჟუს ერთი მგელი ჰყავდა, რომელიც სანადიროდ დადიოდა და მინაბოჟუსთვის ნადირი მოჰქონდა.— ძმობილო მგელო— ეუბნებოდა მინაბოჟუ— არამცდაარამც მდინარეს არ გადახვიდე, თორემ სული წყლი-

სა დაგიჭერს და ვაი შენი ბრალოო. ერთხელ როგორღაც მგელმა ბატი დაიჭირა და მოათრევდა. მგელი დაილალა, გზაზე ნაკადი შეხვდა და ისიც გადაცურვას შეეცადა, მაგრამ წყლის სულმა დაიჭირა. მთელი დღე ელოდა მგელს მინაბოჟუ და უვახშმოდ დარჩა. მეორე დღეს მინაბოჟუმ მდინარესთან ხეზე მჯდომი ჭარლი დაინახა.

— ძმაო ჩემო—მიუბრუნდა მას მინაბოჟუ—იქნებ შენ მაინც იცი, სად დაიკარგა ჩემი ძმა მგელი?

— მერე რას მომცემ, რომ გითხრა? შეეკითხა ჭარლი.

— საგანგებო საყელოს, — უბასუხა მინაბოჟუმ და ჭარლმაც უამბო მინაბოჟუს, როგორ მოიტაცა მგელი წყლის სულმა.

— ყური დამიგდე, — განაგრძო ჭარლმა, — როდესაც მზე მალლა იქნება, წყლის სული მდინარიდან გამოვა და მგლის ტყავზე დასასვენებლად დაწვება. იქვე ქვაზე კუ ჩამოჯდება და მის ძილს უდარაჯებს. დათვიც დარაჯად იდგება იქვე, ხის უკან. მე კი ხეზე ვიქნები და ვუდარაჯებ, რომ მინაბოჟუ არსაიდან გაჩნდეს. ყველანი მეგობრები ვართ, ყველანი ერთმანეთს ვეხმარებით. მაგრამ იქნება სწორედ შენა ხარ მინაბოჟუ?

მინაბოჟუმ არაფერი უპასუხა, ჭარლს დაპირებული საყულო ჩამოაცვა, რომელსაც მას შემდეგ ჭარლი ყოველთვის ხმარობს, თვითონ კი წყნარად ჩამოჯდა ხის ქვეშ და ლოდინი დაიწყო. როდესაც წყლის სული მდინარიდან გამოვიდა და დასასვენებლად გაემზადა, მინაბოჟუ შეუმჩნეველად მიეპარა და თავისი შეგობარი მგელი წაართვა.

— უ-უ-ჰ! — წარმოსთქვა მფრინავმა მელამ ისეთი ხმით, როგორითაც უფროსები ლაპარაკობენ: — ძან ამბავია!

ბიჭები უფრო და უფრო შორს მიიწევდნენ ხშირ ტეში და მათს ყურადღებას არა ემალებოდა-რა. ოდნავად შესამჩნევი ნიშნებით სველ მიწაზე დატოვებული კვალით ნამდვილად შეეძლოთ ეთქვათ ვინ, ან როდის ყოფილა აქ, თეთრმა გაიარა, თუ მათივე ძმანდოელი იყო. რამდენიმე დარჩენილი ფრთის და მელის ახლად დატოვებულ კვალის მიხედვით კურდღლის კვალი განსაზღვრავდა, რომ გუშინ, ან იქნება დღეს, მელამ აქ ქედანი დაიჭირა და ანგარიში გაუსწორა. ფოთლნარიდან გამოსული ხმის კილოს მიხედვით ბიჭებმა უკვე იცოდნენ, რომ სადღაც ახლო იმალება გნოლი თავისი ბარტყებით და ფრინველნი აფრთხილებენ, ნუ გამოხვალ,



მტერი ახლოაო. მთელი თავისი სიცოცხლე ამ ბავშვებს ტყეში და ბუნების წიაღში გაეტარებინათ და ცხოველთა და ფრინველთა ენას, ზნე-ჩვეულებას უკეთ იცნობდენ, ვიდრე ჩვენი საუკეთესო მეცნიერი ნატურალისტი.

ბუნებაში ყველაფერი ცოცხალია, ყველაფერს თავისი ხმა აქვს, მხოლოდ უნდა გვეყურებოდეს მისი ენა. ბავშვებმა იციან, რომ ბრძენი ინდოელი ყველაფრის გამგებია; ისიც იციან, რომ ოდესმე თვითონაც შესძლებენ ყველაფრის გაგებას, მხოლოდ ყურადღებით უნდა ისმინონ ხეების ჩურჩული, ქვების დუმილი და ქარის ზუზუნი.

სწამს ინდოელს, რომ მთელი ბუნება მისი მონათესავია: ფეხმარდი ირემიც, ჩრდილიანი ხეც, ვერცხლის ხავსით შემოსილი ქვაც. ყველას თავის ძმებად სთვლის.

თვითოველ ბალახს იცნობდენ ბავშვები, იცოდენ, ავადმყოფობის დროს რომელია მარგებელი, ან რომლის მოხარშვა შეიძლება სიმინდის მარცვალთან ერთად, რომლის მოკრება და გახმობაა საჭირო, რომ დედამ საღებავი გააკეთოს და თავისი ხელით გაკეთებული ჭურჭელი, საბნები და ბავშვების ტანისამოსი შეღებოს.

ყოველნაირ ბალახს იცნობდენ, რადგან დედასთან ერთად ჩვეულნი იყვნენ მათს მოკრეფას, გახმობას და გამოხარშვას. სამკურნალო ბალახებსაც არჩევდენ, რადგანაც დიდ მკურნალს შველოდენ მათს მოკრეფას. დიდ მკურნალს სხვა საქმე არა აქვს — იგი არც ომში გადის, არც ნადირობს, თავის ვიგვამში ცხოვრობს და მხოლოდ ხალხსა სწამლობს. ზაფხულში ხანდახან ბავშვებს შეჰკრეფს ხოლმე და ტყეში წაიყვანს ბალახების დასაკრეფად და თან უხსნის, რომელი ბალახი რომელ ავადმყოფობასა შველის.

ბავშვებს უკვე კარგა გზა ჰქონდათ გავლილი. კურდღლის კვალი გზადაგზა შეუმჩნევლად ხეებზე შტოებს ამტვრევდა, ან ფოთოლს სწყვეტდა: იცოდა, რომ, თუ ტყეში გზა დაებნეოდათ, ამგვარად დატოვებული კვალის მიხედვით გზას ადვილად იპოვნოდა.

კომპასი ბავშვებს არა ჰქონდათ, მაგრამ დღისითაც და ღამითაც მშვენივრად იცოდენ, საით წასულიყვნენ. დღისით მიმართულებას მზის, ხეების და ფერების საშუალებით აწესებდენ. მაგალითად, იცოდენ, რომ მთის სამხრეთ ფერდობებზე ხეები ბევრად უფრო მწვანენი არიან, ვიდრე ჩრდილოეთისაზე. იმ მცენარეებსაც იცნობდენ, რომელთა ფოთ-

ლები ჩრდილოეთისკენ მიბრუნებას ცდილობენ. თუ ასეთი ნიშნებიც არ მოიპოვებოდა, მიმართულებას ფრინველთა ფრენაზე ცნობილობდენ. ღამე კი ვარსკვლავებს, მათ გზას და განწყობილებას ისე იცნობდენ, როგორც საუკეთესო განათლებული მეზღვაური.

ზაფხულის რა დრო იყო, ისიც კარგად იცოდა კურდღლის კვალმა. ამას იმის მიხედვით შეიტყობდა, თუ რა ყვავილები იშლებოდნენ, რა ბალახი ამოდოდა, რა ხე ჰყვებოდა, რომელი ფრინველნი გალობდნენ, გამოჩეკილან თუ არა ტბაზე გარეული იხვები, როდის დააპირებენ გაფრენას გარეული ბატები... ყოველივე კარგად იცოდა და ისევე ჰქონდა შესწავლილი ტყის მცხოვრებთა ჩვეულებანი და განზრახვანი, როგორც თავისი ტოლ-მეგობრებისა.


მისი უმცროსი ძმა—მფრინავი მელა—დიდი გულმოდგინებით ისმენდა ყველა იმას, რასაც უფროსები ლაპარაკობდნენ: მასაც უნდოდა ისეთივე გამხდარიყო, როგორც სხვები: მარჯვე, მძლავრი, მამაცი და ბრძენი ინდოელი. ახლაც უკვე ბევრი რამ იცოდა, შეეთვისებია, ხოლო დანარჩენს ალლო და მეცადინეობა შესძენს.

ბავშვები რომ მდინარეს მიუახლოვდნენ, მზე უკვე დასავლეთისკენ გადახრილიყო.

რამდენი მეჭიჭყინა დაიჭირეს, იქვე ცეცხლი აანთეს, შესწვეს და ისაუზმეს, ზედ მარწყვი დაატანეს მერმე გაუნძრევლად კიდევ დიდხანს ისხდნენ მდუმარე მდინარესთან, მაგრამ ამაო იყო მათი ცდა—ვერაფერი დაიჭირეს. შინ დაბრუნების დროც იყო.

თევზაობის დროს კურდღლის კვალი თვალს არ აშორებდა აჯიმოდოს—ციყვს, რომელიც იქვე მათ გარშემო დატრიალებდა და ხიდან ხეზე გადადიოდა მოუსვენრად. უცბად კურდღლის კვალი ადგილიდან ავარდა და მაღალი ხისაკენ გაექანა, იმ ხისაკენ, რომელზედაც ეს არის ახლა ციყვი იჯდა. ციყვი მეორე ხეზე გადახტა და ინდოელი-საკენ იხედებოდა, თითქო ეძახდა, აქეთ მოდი, მე გამომყევით. მაგრამ კურდღლის კვალი მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და სწრაფად მიძვრებოდა უშველებელ გამოფულუროებულ ხეზე, რომლიდანაც ეს არი ახლა ფუნთუშა ცხოველი ჩამომხტარიყო. ციყვი მოუთმენლად ტრიალებდა იქვე მდგომი ხეების ტოტებში, ბიჭი კი უფრო და უფრო მაღლა ძვრებოდა და თვითოფულ ფულუროში იხედებოდა. ბოლოს გაჩერდა, თავის

ძმას დაუძახა და ხიდან კაკალი ჩამოყარა. ეს კაკალი აქ კიდევ შარშან შემოდგომაზე მოეგროვებინა თავისთვის პატარა ციყვს. ბავშვებმა გასცარცვეს მთელი მისი საკუჭნაო და თან სიმინდის მარცვლებიც კი წაიღეს, რომელიც ციყვს, უეჭველია, მათი საკუჭნაოდან



მეთევზე თევზის ჭერის დროს.

ჰქონდა მოპარული. გათანასწორებულნი იყვნენ. ახლა ბიჭები შიმშილს მოიკლავენ და სახლში დედასა და დას მეტს არგუნებენ, ვიდრე თვითონ შესჭამენ.

— ნუ სწყუხარ, აჯიმოდო, — მიუბრუნდა ციყვს ხიდან ჩამოდრომისას კურდღლის კვა-

ლი,—მოსაკრეფი და საკვები ახლა ტყეში  
ბევრია, მხოლოდ ზარმაცი არ უნდა იყო.

მზე ჩავიდა, უკვე დაბინდდა, დასავლეთით  
საღამოს ვარსკვლავი ამობრწყინდა. ბი-  
ჭები იცნობდნენ ამ ვარსკვლავს. ერთი მანი-  
ტუს, კეთილი სულის და იყო. და-ძმას ძალი-  
ან უყვარდათ ერთმანეთი და მეგობრულად  
ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთხელ როგორღაც  
დამ უთხრა ძმას: მე უნდა გავქრე, საყვარე-  
ლო ძმაო, მაგრამ შენ ნუ ინაღვლი. საღამო-  
ჟამს ცას იქით უყურე, სადაც მზე ჩადის, დი-  
ლით კი სადაც მზე ამოდის—და მე დამინა-  
ხავო.

და გაქრა; ძმამაც იქით დაიწყო ცქერა,  
სადაც და უჩვენებდა. მალე მშვენიერი ვარს-  
კვლავი დაინახა, რომელიც მაშინ გამოჩნდე-  
ბოდა ხოლმე, როდესაც მზე დასავლეთზე  
მიიმალებოდა, და ძმას აღერსიანად უციმცი-  
მებდა, არ მოიწყინო, შენთანა ვარო.

---

## თ ა ვ ი VI

### მონღამინის ქორწინება.

ერთხელ ჰკითხეს ბრძენ იაგუს, არ იცი, თამბაქო საიდან წარმოიშვაო? ის ცოტათი ჩაფიქრდა და მერე ბრძანა: „მოხუცებულ წინამძღოლთაგან ნათქვამია, რომ ქვეყანას ორი დიდი სული განაგებს. ერთი სული კეთილია, მეორე კი ბოროტი და ყველას ბოროტებას უქადის. კეთილმა სულმა მსოფლიო შექქმნა, ქალებით და კაცებით დაასახლა და მათ ყოველნაირი სიკეთე მიანიჭა. ხოლო ბოროტმა სულმა რომ ეს შეიტყო, შეეცადა, რომ ხალხს კეთილი სული დაჰვიწყებოდა და მინიჭებული სიკეთისათვის მადლობაც კი არ გადაეხადა.

დედამიწაზე გაფანტულ ხალხებს მაშინ საჭმელი ძალიან ბევრი ჰქონდათ. ტყეები ირმებით და ბიზონებით იყო სავსე, ხოლო მდინარენი—თევზით. თითოეულს შეეძლო

წყლით და ცეცხლით სარგებლობა, მაგრამ არავინ არ უმადლიდა კეთილ სულს.

ხალხს კეთილი სული არც კი აგონდებოდა, ავი სული კი ამას ხედავდა და სტკბებოდა. მან ხალხი ჩხუბს შეაჩვია და ომი ასწავლა.

ასეთმა უმადურებამ გაარისხა კეთილი სული. მთელი მსოფლიო ასწია და უშველებელ ტბაში ჩაუშვა. ხალხი დაიღუპა, გარდა ერთი ახალგაზრდა წინამძღოლისა, რომლის გულში მხოლოდ სიკეთე ღვიოდა კეთილ სულს გადარჩენისთვის მადლობა შესწირა და კეთილმა სულმაც და მისცა, რადგან ვიგვამები ცარიელი იყო და ახალგაზრდა წინამძღოლიც მარტოდ-მარტო დარჩენილიყო. თავის დას წინამძღოლმა თეთრი მიწა დაარქვა.

ერთხელ დაესიზმრა ახალგაზრდა წინამძღოლს, რომ მისი დის სანახავად 5 უცნობი მოსულიყო. კეთილმა სულმა კი ჩასჩურჩულა, შენმა დამ არც შეხედოს მოსულებს, არც დაელაპარაკოს, მანამ ვიგვამის შესავალთან მეხუთე არ გამოჩნდესო: თუ ასე მოიქცევა, სტუმრები ისეთს საჩუქრებს მიუძღვნინ, რომლების ნატვრაც კი ვერ გაუბედნიაო. ნუ შეეშინდება, თუ პასუხის გაუცემლობაზე უცნობნი მის წინ უსულოდ დაეცემიან, სა-



მაგიეროდ თუ მეხუთეს გაუღიმა და ტკბილად დაუხვდა, მთელ ქვეყანას გააბედნიერებსო.

მეორე დღეს უცნობნიც მობრძანდნენ. პირველი მალალი იყო და ტანზე მწვანე სამოსი ჰქონდა წამოფარებული. თეთრმა მიწამ მას სიტყვებზე არა უპასუხა-რა, ზედაც არ შეხედა. უცნობი ჯერ ჩუმად იდგა, მერმე კი ერთბაშად მისი სამოსი ფოთლებად იქცა, და უზამა—თამბაქო—დავარდა მიწაზე.

შემდეგი სტუმარი დაბალი ტანისა და სქელი იყო. ჩქარი სიარული არ შეეძლო. ქალს შეევედრა, ერთხელ მაინც შემომხედო, მაგრამ ქალმა კრინტიც არ დასძრა, არ მიხედა. ქალს არ დაუნახავს, და ფარდის უკან მდგომმა ძმამ კი გაიცინა, როდესაც ვამპაკო—გოგრა—დავარდა ძირს და ქვეითკენ დაგორდა. ქალი ძალიან ჰკვიანი იყო და გაჩუმება შეეძლო.

ეგიკოსსიმი—ნესვი და კოკისი—ლობიო ერთად მობრძანდნენ და საცოლეს—თეთრ მიწას—ხვეწნა დაუწყეს, ხმა ამოიღო. მაგრამ ქალმა პასუხი არ გასცა და ორივენი მიწაზე ისევე დაეცნენ, როგორც მათზე წინ მოსულნი.

ამის შემდეგ ქალს მძლავრი და ტკბილად მჟღერი ხმა მოესმა. ეს ხმა მას ეძახდა. ქალმა ვიგვამის კარებზე ჩამოკიდებული ფაღდა ასწია, გარეთ გაიხედა და მალალტანიანი წინამძღოლი დაინახა. მისი ხმა ქალს მაშინვე გულში ჩასწვდა, იგი ფიჭვნარში მქროლავ ნაზ ქარის ხმას ჰგავდა. და სთქვა ქალმა: კეთილი იყოს შენი მოსვლა, ლამინ. მობრძანდი, ჩემ ძმასთან წაგიყვან, ის შენ მონდამინს დაგარქმევს.

და ძმამაც თავისი და, თეთრი მიწა, მონდამინს მიათხოვა, რადგან სწორედ მონდამინი აღმოჩნდა ის სახელოვანი წინამძღოლი, რომელიც კეთილმა სულმა მის დას გამოუგზავნა.

საქორწინო ღვინის შემდეგ საშინელი ქარი ამოვარდა, რომელსაც კაი წვიმა მოჰყვა. რამდენიმე დღის შემდგომ კი მიწა ახალამოზრდილ მცენარეთა ფოთლებით მოიფინა. უზამა—თამბაქო მთელი თავისი ერთი მოსულიყო დიდ წინამძღოლ მონდამინ—სიმინდისათვის და მისი მეუღლისათვის საჩუქრების მოსართმევად. ვამპაკო—გოგრამ, ეგიკოსსმმა—ნესვმა და კოკისმა—ლობიომ ყველამ მოართვეს ცოლ-ქმარს საჩუქრები და შეჰპირდენ, ასეთივე საჩუქრებს კვლავაც ყოველ-

წლივ მოგართმევთ, თუ წვიმა დაგვენამავს და მზე არ მოგვაკლებს თავის სითბოს და სინათლესო.

მონდამინმა და მისმა ცოლმა კეთილსულის მადლობა გადაუხადეს და აღიდეს, თავის შვილებსაც იგივე ასწავლეს, და ინდოელებიც მონდამინს თავის პაპას უწოდებენ და ისე იქცევიან, როგორც მან უბრძანა. კეთილსულისაც მადლობას უხდიან სიმინდის მარცვლისათვის, ღობიოსათვის, გოგრისა და ნესვისათვის.

## თ ა ვ ი VII.

### შ ა ლ ი.

გაზაფხულდა. როგორც კი თბილი დღეები დადგა, ცისფერმა ფრთამ გადასწყვიტა ცხვრის გაკრეჭა და მატყლის მოგროვება. თუმცა ოჯახში ტანისამოსი სამყოფი ჰქონდათ, მაგრამ ცისფერ ფრთას უსაქმურად ჯდომა არ უყვარდა და ისიც იცოდა, რომ შალის გამოყენება სხვაფრივ შეიძლებოდა: თეთრებს წაუღებს და მიჰყიდის, ესე იგი, მიჰყიდის კი არა, დუქანში მიიტანს, ვაჭარს მისცემს და სამაგიეროდ სიმინდს, ხორბალს

და მარჩილს წამოიღებს. ამნაირად ახალ მოსავლამდე ოჯახი მაძღარი ეყოლება.

მატყლი თავისავე ცხვრებისა ჰქონდათ. ბიჭებს ძალიან უყვარდათ ეს დრო. თვითონვე გაიქცეოდნენ ცხვრების დასაჭერად; ცხვრები შიშით ბლადნენ და გაქცევას ცდილობ-



მატყლის ჩეჩვა.

დენ. ბოლოს დაიჭერდნენ, წააქცევდნენ და ფეხებს შეუკრავდნენ; ცხვარი კი ბლავილით ავსებდა იქაურობას.

— რასა ბლავი, — ამშვიდებდა კურდღლის კვალი, — შენთვისვე უკეთესია: მალე ჩამოცხება და, აბა, რა უნდა ჰქნა მაგოდენა ქურქით?

დედა კი ამ დროს ცხვარს სწრაფად და მარჯვედ ჰკრეჭდა. აი, გაკრიჭა ერთი, აგერ მეორე, მესამე—და დედის გვერდით უკვე მთელი გროვაა ჭუჭყიანი მატყლისა. ახლა ამ მატყლს ეკლები და ტალახი უნდა მო-  
 აცალონ, გასწმინდონ, და დედაც თავისი ქა-  
 ლით, თეთრი ღრუბლით, თავისუფალ დროს



სართავის დამზადება.

ამ საქმეს-ლა ანდომებს, უბრალო და უშხო საჩეჩელითა სჩეჩავს ამ მატყლს. შემდეგ კი ცისფერი ფრთა მატყლს თითისტარზე და-  
 ახვევს და გრძელ-გრძელ ძაფს ართავს.

ახლა საღებავი უნდა დამზადდეს. კურ-  
 დლის კვალმა შარშანვე მოაგროვა დედისა-

გან ნაჩვენებო სხვადასხვა ბალახი. დედამ რა-  
ლაც ფერადი მიწა აიღო, ცეცხლში გამო-  
იყვანა და ფხვნილად აქცია. ქოთნით წყალი  
აადუღეს, შიგ ფოთლები ჩაჰყარეს, ფერადი  
მიწის ფხვნილი დაუმატეს, და საღებავიც მზად  
არის. შავი საღებავი რომ მოამზადეს, კურდღ-  
ლის კვალმა რამდენიმე წყვილი წინდაწინვე  
დამზადებული მოკასინი\*) მოატანა, რათა  
შემთხვევით ესარგებლა და შეეღება. საღე-  
ბავში ჩასდო და, მართლაც, ცოტა ხნის  
შემდეგ სამაგალითოდ შეღებილი, კუბრივით  
შავი მოკასინი ამოიღო.

როდესაც ძაფი შავად შეღებეს და ზო-  
გიც წითლად, დედამ შალის ქსოვა დაიწყო.  
ვიგვამის ახლო ორი ზე ამოირჩია, მათ შუა რამ-  
დენიმე ძელი გასდო, საფეიქრო დაზგა გამარ-  
თა და შალის ქსოვას შეუდგა. თუ დედა შინ  
იყო საქმით გართული, თეთრი ღრუბელი მი-  
უჯდებოდა ამ სამუშაოს და ნაქსოვი სულ  
ზევით და ზევით იწევდა, მანამ დაზგის ზევითა  
ჩარჩომდე არ ავიდოდა. შალი მზად იყო.

კურდღლის კვალმა ცხენი მოიყვანა და  
შეკაზმა. ზედ დედა შეჯდა, ბავში ზურგზე  
აიკიდა, წინ შალი დაიდო და გასაცვლელად

---

\*) წულეები.

წაიღო ვაჭართან. დიდხანს მოუხდა სიარული.  
ბოლოს მივიდა და როდესაც შალი ვაჭარს გა-  
დასცა, მან, მართალია, სიმინდი, ხორბალი და  
მარილი მისცა, მაგრამ ბევრად უფრო ნაკლე-



ინდოელების დგიმ-სავარცხელი.

ბი, ვიდრე შარშან. ცისფერი ფრთა გაკვირვე-  
ბით შესცქეროდა და თავისი დამტვრეული  
ენით ეკითხებოდა, ნაკლები რათ მომეციო. ვა-

ჭარმაც აუხსნა, შარშან მოსავალი კარგი გვქონდა და ყველაფერიც უფრო იაფი იყო, ახლა კი მოსავალი ცუდია, გვალვაა, ყველაფრის ფასმა აიწია და ნაკლებს მიტომ გაძლევო.

მაგრამ ცისფერი ფრთა ამას ვერ გაიგებდა. ინდოელები გაცვლის დროს ასე არ იქცეოდნენ და ყოველთვის ერთნაირად აძლევდნენ. „თუკი ცუდი მოსავალია, მაშ მარცვალი მეტი უნდა მოეცა და არა ნაკლები, — ფიქრობდა საწყალი ქალი, — გვატყუებს თეთრი, ყოველთვის გვატყუებს ჩვენ, ინდოელებს, თეთრი ადამიანი. მაგრამ სხვა გზა არსადა ჰქონდა და თავისი შალი ვაჭარს გადასცა, მიღებული სანოვაგე ცხენს აჰკიდა და გულმოკლულმა, თეთრკანიან ვაჭარზე განრისხებულმა შინისკენ გამოაბრუნა თავისი ცხენი.

ლამდებოდა კიდევ, შინ რომ დაბრუნდა. მთელი ოჯახი ვახშმად იჯდა. ვახშამი რომ გაათავეს და ვორ-რა-პიმ თავის ჩიბუხს ვიგვამის ახლო გაჩაღებული ცეცხლის ნაღვერდალი დაადო, ცისფერი ფრთა მოჰყვა იმის თხრობას, თუ ვაჭარმა როგორ მოატყუა და ნაკლები მისცა, ვიდრე ერგებოდა.

ქმარი გულდასმით და სერიოზულად უგდებდა ყურს და კრინტიც არ დაუძრავს, მხოლოდ თავის ჩიბუხს აბოლვებდა.



— თეთრი ყოველთვის აგრე გვექცევა, — წარმოსთქვა ბოლოს, — თეთრს ინდოელი არ უყვარს და ყოველთვის მის მოტყუებას ცდილობს. ვორ-რა-პი ამას გულდამწვიდებით ამბობდა. ის თეთრებზე არა ჯავრობდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ თეთრი სხვაფრივ ვერ მოიქცევა. მართალია, ყოველნაირად გვატყუებენ, მაგრამ ეს მოტყუება ისევე მშვიდად უნდა მივიღოთ, როგორც ცხოვრების სხვა უბედურება: ხანძარი, ან სეტყვა. პატარა ხანს შეჩერდა და მერე განაგრძო:

— მოხუცებულნი ამბობენ, წინად ასე არ იყო. სხვა ადგილებში ვცხოვრობდით თურმე, მამული ბევრი გვქონდა, ტყეში ნადირი ბლომად მოიპოვებოდა, ტბაში თევზი.

თეთრები მოვიდნენ და საქმეც გაფუჭდა. უწინ მთელი ქვეყანა ჩვენ გვეკუთვნოდა, ახლა კი მიწა თითქმის არა გვაქვს; მხოლოდ იქ შეგვიძლია ვიცხოვროთ, სადაც თეთრებისაგან გვაქვს ნება დართული. თუმცა იყო დრო, როცა თეთრები ჩვენა გვთხოვდნენ მიწაზე დასახლების ნებას.

— როდის იყო ეგ დრო, მამა? — შეეკითხა კურდღლის კვალი და თვალები აენტო გულში ჩამარხული შეურაცხყოფისაგან.

— დიდი ხანია მას შემდეგ. მოხუცებუ-  
ლებს მოხუცებულებისაგან აქვთ გაგონილი.  
ბევრი, ბევრი მთვარეა გასული, მაგრამ მო-  
ხუცებულებმა კარგად იციან, როგორ იყო  
საქმე და უამბობენ ახალგაზრდებს, ვისაც კი  
ამისი ცოდნა უნდა. ვორ-რა-პიმ თვალები  
დახუჭა, დაფიქრდა, მერე ისევ ჩიბუხი მოს-  
წია.

— მამა, გვიამბე, როგორ მოხდა ეგ ამ-  
ბავი, — შეეხვეწა კურდღლის კვალი, როდე-  
საც შეამჩნია, რომ მამა ფიქრებიდან გამო-  
ერკვია. მფრინავი მელა გაჩუმებული იყო,  
მაგრამ ისიც მამას შესჩერებოდა. ჯერ ძალი-  
ან პატარა იყო და ნება არ ჰქონდა უფრო-  
სებისათვის რამე ეკითხნა, მას მხოლოდ ყუ-  
რის გდება შეეძლო.

— აი, როგორ იყო, — წარმოსთქვა მამამ  
და კვლავ გაჩუმდა, თითქო ყველა უნდა და-  
წვრილებით მოიგონოს, რაც კი მოხუცებუ-  
ლებისაგან სმენდა და ეშინია არაფერი გამომრ-  
ჩეს, არ შემეშალოსო.

შვილიც დიდი ყურადღებით უსმენდა:  
მასაც ხომ მოუხდება ოდესმე სხვებისათვის  
ამის თხრობა. სმენად იქცა, რომ კარგად  
გაეგო მამის ნათქვამი, დაეხსომებია.

ვორ-რა-პიმ ერთხელ კიდევ აიღო ჩიბუ-  
ხი, ნათაზით მოსწია, ფერფლი გამოყარა და  
თხრობა დაიწყო:

— მოვიდენ თეთრები. მაშინ ისეთები არ  
იყვნენ, როგორც ახლა. შორიდან მოსულ-  
იყვნენ და ძალიან დიდ, ვეებერთელა ტბაზე



დედამ წაიყვანა ბავში, წაიღო საბანი და გასწია ვაჭართან.

გადმოეარათ. იქ, სადაც უწინ ცხოვრობდენ,  
თურმე მათ მეტად სტანჯავდენ და იმათაც  
ჩვენსკენ გამოეწიათ; ჩვენთან მოსვლისას  
გვთხოვეს, მიწა მოგვეცითო. ჩვენი მოხუცე-  
ბულნი მეგობრულად დახვდენ, „ჩიბუხი მშვი-  
დობისა“ შესთავაზეს და მიწაც მისცეს. ჩვე-  
ნებს ეჩვენებიათ, აი, აქ შეგიძლიათ დასახ-

ლებათ. შემდეგ კიდევ სხვა თეთრები მოვიდნენ, უწინ მოსულების მეგობრები. ჩვენები ხედავდნენ, რომ თეთრები არას აწყენინებდნენ; მეგობრულად ეკიდებოდნენ და ახალმოსულებსაც მიწა უნაწილეს. თეთრები რომ ჩვენ ახლა მიწას გვაძლევენ, თოკით დადიან და ყველგან ბოძებს დგამენ; ჩვენი ძველნი ეგრე არა შვრებოდნენ. თეთრებს გამოუცხადეს: იმდენი მიწა აიღეთ, რამდენის გარშემოვლასაც მოასწრებს ერთ დღეში კაციო. და აი სწორედ აქ მოგვატყუეს ჩვენ თეთრებმა, და მაშინ დარწმუნდნენ ჩვენი ძველნი, რომ თეთრები ვერაგობით და მზაკვრობით არიან სავსენი და თუმცა მეგობრებად გვეჩვენებიან, მაგრამ ნამდვილად კი ჩვენი მტრები არიან და ყოველთვის მზად არიან, როგორმე გვავნონ.

ვორ-რა-პი კვლავ გაჩუმდა და ჩაფიქრდა. — როდესაც ჩვენი წინამძღოლები ეუბნებოდნენ — აიღეთ იმდენი მიწა, რამდენის გარშემოვლას კაცი ერთ დღეში შესძლებსო, დარწმუნებული იყვნენ, რომ თეთრები ისევე მოიქცევოდნენ, როგორც ჩვენ. ჩვენ არ გვინდა იმაზე მეტი, რაც საცხოვრებლად არის საჭირო. როდესაც ჩვენი ვიგვამები ადგილიდან ადგილზე გადაგვაქვს, ჩვენ არა ვჩქარობთ,

ხოლო როცა ახალ ადგილზე მივალთ, ტყუი-  
ლა-უბრალოდ ხეებს არა ვჭრით, ნადირს და  
ცხოველს არა ვკლავთ.

როდესაც მიწის გაზომვის დღე დადგა,  
შეიკრიბენ ჩვენი და თეთრების წინამძღოლე-  
ბი და თეთრმა უფროსმა განუცხადა თავის  
ხალხს, რომ ის, ვინც შესძლებს ერთს დღეში  
სხვებზე მეტის გავლას, მიიღებს ბევრ, ბევრ  
ფულს და ამის გარდა 300 დღიურ მიწას. სამი  
კაცი გამოვიდა. ყველანი დიდი კაკლის ახლო  
დადგენ. ახლა ის კაკალი აღარ არსებობს,  
ხოლო იმის ადგილას თეთრებს თურმე დიდი  
ქვის ძეგლი დაუდგამთ. როგორც კი მზე  
ამოვიდა, თეთრთა უფროსმა ხელით ანიშნა,  
და კაკალთან მდგომი სამი კაცი დაიძრა.  
ძალიან, ძალიან სწრაფი ნაბიჯით მიდიოდენ,  
არ შეჩერებულან და არ დაუსვენიათ. ჩვენი  
წინამძღოლები თან მისდევდენ და მაშინვე  
მიხვდენ, რომ თეთრები უბატოვნოდ იქცე-  
ოდენ. თეთრთა უფროსს წინდაწინვე ბრძანება  
გაეცა, რომ ყველგან, სადაც კი გავლა მო-  
უხდებოდათ, ტყე გაეჩეხათ და გზა ბუჩქები-  
საგან გაეწმინდათ, რომ სვლა უფრო ადვი-  
ლი ყოფილიყო. თვითონ თეთრები კი ცხე-  
ნებით მისდევდენ. მაშინ ჩვენმა წინამძღო-  
ლებმა წინადადება მისცეს, პატარა შევისვე-

ნოთ და თითო ჩიბუხს მოვუკიდოთო, მაგრამ თეთრებმა ყური არ ათხოვეს და სირბილს განაგრძობდენ. დაიქანცენ ჩვენი წინამძღოლები, ეუბნებოდენ, მეტი სვლა აღარ შეგვიძლია, დავისვენოთო, მაგრამ არც ახლა დაუგდეს ყური თეთრებმა, ოღონდ ჩვენ წინამძღოლებსაც ცხენები მისცეს, რათა დაერწმუნებიათ, რომ ის სამი კაცი ფეხით მიდის, და არა ცხენით. ჯერ კიდევ პირდაპირ თავზე ედგათ მზე, როდესაც ერთი ამ სამთაგანი დაუძლოურდა და დავარდა. შინ წაიყვანეს, მაგრამ მალე მოკვდა. კიდევ ცოტა ხანი გავიდა, და როცა მდინარეს უნდა გადასულიყვნენ, მეორეც წყალში ჩავარდა. არ დამხრჩვალა, თეთრებმა გადაარჩინეს, მაგრამ სამი დღის შემდეგ ისიც მოკვდა. მესამე კი სულ წინ და წინ მიიწევდა და მხოლოდ მზის ჩასვლისას უბრძანა თეთრმა უფროსმა გაჩერდიო, და ისიც ქანცვაწყვეტილი იქვე მიწაზე დევს. არ მომკვდარა, თუმცა დიდხანს იყო ავად, სულ თავის ვიგვამში იწვა და აღარც დაპირებული მიწა გამოადგებოდა რაშიმე, აღარც ფული.

შეიკრიბენ ჩვენი წინამძღოლები ამ საქმის გამოსარკვევად. აღარ იცოდენ, რა ექნათ თეთრებმა გადასწყვიტეს, რომ სრულიადაც



კვაკერები და ინდოელები შეიკრიბენ მიწის გაზომვის წინ.

არ არის საჭირო ამ მიწის გარშემოვლა, ხოლო იმ ადგილიდან, რომელმედისაც მოსულ-


იყვნენ, მათ პირდაპირ დანარჩენი მხარეებიც მოზომეს და გამოაცხადეს, ახლა ეს ჩვენი მიწააო.

და ისე გამოვიდა, რომ თეთრების საკუთრებად გამხდარიყო ჩვენი თევზით სავსე მდინარეც, ტყეებიც და მთელი ის მიწაც, რომელზედაც ჩვენ თვითონ ვცხოვრობდით. ჩვენმა წინამძღოლებმა გადასწყვიტეს, თეთრებისაგან მიღებული საჩუქრები დაებრუნებიათ, ხოლო თავისი მიწა უკანვე მოეთხოვათ. მაგრამ თეთრებმა ამაზე უარი სტკიცეს. დიდხანს ემუდარებოდნენ ჩვენი უფროსები, ნუ გვატყუებთ, ნუ გვჩაგრავთ, მეგობრულად ვიცხოვროთ ერთმანეთის მეზობლადო, მაგრამ თეთრები ყურს არ უგდებდნენ და მხოლოდ სიცილით უპასუხებდნენ. ჩვენები დარწმუნდნენ, რომ კეთილი სიტყვა აქ ვერ გასჭრიდა და მხოლოდ ძალით თუ წაართმევდნენ იმ მიწას, რომელზედაც თვითონ იდგნენ. და დაიწყეს თეთრებთან ომი, მაგრამ თეთრებს იარაღიც ჰქონდათ, ზარბაზნებიც და ჩვენებიც იძულებული გახდნენ თავისი სამშობლოდან აყრილიყვნენ და უფრო და უფრო შორს გაეწიათ.

მას შემდეგ ჩვენ თვით საუკეთესო თეთრის სიტყვისაც აღარა გვჯერა. ყველანი ბო-



როტები და ფლიდები არიან— დაასრულა თავისი ამბავი ვორ-რა-პიმ\*).



ინდოელებს გული მოსდისთ, რომ თეთრები შეუსვენებლად მირბიან.

\*) ეს ამბავი მოგონილი არ არის, ნამდვილი ფაქტია. მართლაც, კვაკერმა ვილიამ პენნმა დელავერის ინდოელებისაგან მიწა შეისყიდა. ეს მიწა ახლა ფილადელფიად არის წოდებული. პირობის მიხედვით კვაკერებს (ინგლისში მთავრობის მიერ დევნილი სარწმუნოებრივი საზოგადოება) იმდენი მიწა ეკუთვნოდათ, რამდენის გარშემოვლა შეიძლებოდა ერთ დღეში. საზღვრები კი არ იყო და-

## თ ა ვ ი VIII.

### წვიმის გამოწვევა.

ცისფერი ფრთისაგან შალის მყიდველი ვაჭარი მართალს ამბობდა, მოსავალი წელს ცუდიაო. საშინელი სიციხეები იდგა. მზე

ნიშნული. ინდოელები მეგობრულად ცხოვრობდნენ ვილიამ პენნის მეზობლად. ვილიამ პენნი მეტად პატიოსანი კაცი იყო. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, პაპა რომ მოუკვდათ, პენნის შვილიშვილებმა მოინდომეს საზღვრების სისწორით გაყვანა და სწორედ ისე მოიქცნენ, როგორც ზემოდ იყო ნაამბობი. პენნის შვილიშვილებმა ინდოელების ნდობით ისარგებლეს და ჩრდილოეთისაკენ იმ მანძილის ხაზი გაიყვანეს, რა მანძილიც ერთი ფეხმარდი კაცისაგან იყო გავლილი. ამ ხაზის ბოლოებიდან ჩამოსწვრივი ხაზი დანიშნეს და ამგვარად ინდოელებს 800.000 დლიურზე მეტი მამული წაართვეს. ინდოელებს ძალაუნებურად დასავლეთისაკენ უნდა გაეწიათ. დიდხანს იცავდნენ ისინი თავის მიწაწყალს, მაგრამ ყოველივე ცდა ამაო იყო. რამდენადაც წყნარი და კეთილი ხასიათისა იყო ვილიამ პენნი, იმდენადვე ბოროტი და გულქვა იყო მისი ჩამომავლობა: თვითოეული მოკლული ინდოელის თავი დაფასებული ჰქონდათ, ფულს აძლევდნენ და შეუბრალებლად ქლიტავდნენ.

სწავდა და ანადგურებდა ბალახს, ანადგურებდა ნათესსაც. ნალველით და მწუხარებით შესცქეროდნენ ინდოელები თავის საქონელს, რომელიც დღითი-დღე მეტად და მეტად ილეოდა. შესცქეროდნენ თავის ნათესებს, ხედავდნენ უნუგეშოდ ჩამოყრილ გოგრის ფოთლებს და გრძნობდნენ, რომ შიმშილიც უახლოვდებოდათ. ერთი კაი წვიმა იყო საჭირო, მაგრამ გავარვარებულ ცაზე ღრუბელი არსად მოჩანდა. მზე ყოველდღე ამოდიოდა და ჩადიოდა სულის შემხუთველ მძიმე ჰაერში. ქალები საშინლადა ღელავდნენ და წინამძღოლებს წვიმის გამოწვევას ეხვეწებოდნენ. წინამძღოლებიც არა ერთხელ შეკრებილიყვენ მოსალაპარაკებლად და ბოლოს წვიმის გამოწვევა გადაეწყვიტათ.


ლამაზი, მამაცი და მძლავრი ვეხ-კი ამოიჩიეს. იმას უნდა გამოეწვია წვიმა. მთელი ხალხი მკურნალის ვიგვამთან შეგროვდა. ვიგვამის ახლო ფიცრის მალლობი გააკეთეს. ამ მალლობზე ავიდა ვეხ-კი. მთელი დღე იდგა იგი მალლობზე და კრიალოსანს ათამაშებდა. ამ დროს კი ქვევით ვიგვამში მკურნალთან ერთად ერის მოხუცებულნი შეკრებილიყვნენ და დიად სულს ევედრებოდნენ, ვეხ-კის მოხედე და ცხოველმყოფელი ცვარი

აპკურეო. მთელი დღე იდგა ვებ-კი და ხან ცისაკენ იყურებოდა, ხან ქვევით შეგროვილ ხალხს დასქცეროდა. ხალხი კი თვალს არ აშორებდა. აგერ მზე დასავლეთისაკენ გადიხარა, ჰაერი კი ისევ ისე გავარვარებულია, სულ მცირე ღრუბელიც კი არსად მოჩანს, იღუპება მოსავალი... მზე ჩავიდა, ვებ-კი მალლობიდან ჩამოდის და ხმის ამოუღებლივ სწრაფად ტყისკენ მირბის: სამუდამოდ შერცხვენელია. ახლა იმას მხოლოდ უცხო ადგილებში შეუძლია წანწალი, თავის ხალხს ვეღარ დაენახვება.

მეორე დღეს მალლობზე ამაყად ავიდა მამაცი და გულადი ვორ-რა-პი, მზეს მიუბრუნდა, ხმამალლა და მრისხანედ რაღაც შესთხოვა, ხოლო დაგროვებულ ხალხს გამოუცხადა — დღეს წვიმა უეჭველად მოვაო. ხალხმაც ყვირილით და აღტაცებით მიიღო ეს დაპირება და ვორ-რა-პისთან ერთად სრულიად დარწმუნებული იყო, დღეს გაავდარდებოა.

ვორ-რა-პი ხელში შვილდს იღებს, ძალზე მოზიდავს და შვილდიდან მოწყვეტილი ისარიც გახურებულ ჰაერს აპობს და თვალიდან იმალება. დრო გადის, მზე დასავლეთისაკენ მიცურავს, ხალხი სასოწარკვეთით შესცქე-

რის რწმენით და გაბედულობით სავსე საყვარელ წინამძღოლს, რომლის თავს არწივის ფრთა ამშვენებს, ხოლო უკან, ცხვრის ტყავიდან გამოქნილი პაიჭების ზემოთ, მელიის კუდი ფრიალებს.



შემალღებულ ადგილას ამაყად ავიდა ვორ-რა-პი.

— წვიმა მოვა—უყვირის ხალხს ვორ-რა-პი. მზე ვერც კი მოასწრებს ჩასვლას, რომ წვიმა მოვა. ოჰ, გაიბე, ცავ!—შეჰტალადებს

იგი ზეცას. — შორეულ უსაზღვრო ტბიდან წამოდით ჩვენსკენ, მაღლიანო ღრუბლებო, დააფრქვიეთ ჩვენ ნათესებზე ცხოველმყოფელი თქვენი ნამი, მოუკალით წყურვილი გამხმარ დედამიწას.


კიდევ და კიდევ ზრიალებს ისარი. ვორ-რა-პი შორეულ სივრცეს თვალს არ აშორებს. აგერ, სამხრეთ-დასავლეთით რაღაც გამოჩნდა. პატარა ღრუბელია. სულ უფრო და უფრო ახლოვდება. აგერ ვერხვის ფოთლებიც ახმაურდენ და თითქო სხვა ხეების ფოთლებს რაღაც ჩასჩურჩულესო, ისინიც მხიარულად შეთრთოლდენ და შეხმაურდენ. ბოლოს მსუბუქმა ნიავმაც დაბერა. ყველამ დამშვიდებით ამოისუნთქა.

ვორ-რა-პი მშვიდად და იმედიანად შესცქერის აქეთკენ მომავალ ღრუბელს. ქარი მეტად და მეტად მძლავრდება, ამოძრავებს მის თავზე არწივის ფრთებს და მის გაფრიალებულ მელიის კუდს. აგერ ერთი, შემდეგ მეორე წვეთი დაეცა მიწას და შხაპუნა წვიმა დაუშვა.

ხალხი ვორ-რა-პის ადიდებს. დღეიდან იგი ძლიერად ითვლება. დღეიდან ვორ-რა-პი დიდი მკურნალი იქნება.

მაგრამ როგორ გამოიცნო ვორ-რა-პიმ წვიმის მოახლოება? რათ იყო ეგრე დარწმუნებული?

ინდოელი ამაზე გიპასუხებსთ, რომ თუ მათმა ბრძენმა წინამძღოლმა დიადი სულის მომადლება შესძლო, ის მისი ნების გაგებასაც შესძლებს და ხალხის კეთილდღეობასაც გამოსთხოვს. ხალხო თეთრი, რომელიც ინდოელების ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებას აკვირდება, გიპასუხებსთ: —საკვირველი არა-



წვიმის გამოწვევა.

ფერია, რომ ვორ-რა-პიმ წინდაწინ იგრძნო წვიმის მოსვლაო. თეთრები მეტეოროლოგიურ ობსერვატორიებს მართავენ, ძვირფას იარაღს ხმარობენ და ამინდის გამოცნობა რამდენიმე დღით წინ შეუძლიათ. ინდოელს კი ასეთი ძვირფასი იარაღის მაგივრად აქვს თვალები, დაკვირვების უნარი, ჭკუა და დაკვირვებათა ბუნებასთან შეკავშირების შეძლება. თეთრისათვის სრულიად შეუძინე-

ველ მოვლენათა წყალობით ინდოელი ჰაერის  
სულ მცირე შეცვლასაც კი გრძნობს და  
შეუძლია წინდაწინვე სთქვას, რა ამინდი  
იქნება. ამას ისევე გრძნობს, როგორც მისი  
მეგობარნი—ტყის ცხოველნი და ფრინველნი.  
და აი რათ იყო, რომ ვორ-რა-პიმ შეუცდომ-  
ლად აღუთქვა თავის ხალხს წვიმა.

## თ ა ვ ი IX.

### როგორ გაჩნდა წყლის ზამბახი.

თითქმის ყოველ საღამოს იკრიბებოდენ  
მოხუცებული და ახალგაზრდა ინდოელები  
იაგუს ვიგვამთან. წყნარად საუბრობდენ, ჩი-  
ბუხებს ეწეოდენ, ხანდახან კი იაგუ სხვადა-  
სხვა ამბებს და ზღაპრებს მოუყვებოდა და  
ყველანი გულმოდგინედ უგდებდენ ყურს.

მაგრამ აქ ქალებს ვერა ნახავდით. სახლ-  
ში ყოველთვის ჰქონდათ საქმე: ოჯახი, ბავ-  
შები—ყველაფრისთვის უნდა მოეველოთ. მხო-  
ლოდ ახალგაზრდა ქალიშვილები თუ შე-  
იკრიბებოდენ ხანდახან ბებერ ოპეჩთან, ვიგ-



ვამის კედლების გასწვრივ წყნარად დასხდებოდნენ და ზღაპრებს ისმენდნენ. მაგრამ ვინ იფიქრებდა, ეს ზღაპარია, გამოგონილიაო, — სრულ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ მათ ნაამბობი.

ერთხელ, საღამოს, ბებერი ოპეჩი თავის ახალგაზრდა მსმენელებს უამბობდა, თუ როგორ გაჩნდა ქვეყნად ყველასათვის თვალწარმტაცი წყლის ზამბახი, თუ როგორ იზრდება იგი ჩრდილიან და ღუმილით მოცულ ტბაზე.

აი რას ამბობდა ოპეჩი:

— ძველ დროს ყველანი ბედნიერნი იყვნენ. კაცები და ქალები ისე ბედნიერნი იყვნენ, როგორც ბავშვები. ცხოველი ადამიანს არ გაუბოდა და, თუ დაუძახებდნენ, მივიდოდა კიდევც. საჭმელი ყველგან მრავალი იყო. ზამთარი ისეთი სუსხიანი და ცივი არ იყო, როგორც ახლა. თითქო ყოველთვის გაზაფხული დგასო, დღისით არა ცხელოდა, ღამით არა ციოდა.

ტყეები ფრინველით იყო სავსე! მერე რა ფრინველით! ცისფერი გინდა, წითელი, ყვითელი, სულ ნაირ-ნაირი ძვირფასი ფერებისა, იმ ფერებისა, რომლებითაც ახლა ჩვენი მამაცი მხედრები თავს იღებავენ. ფრინველნი

დღე-და-ღამ გალობდენ და ჰაერი მათი ტკბი-  
ლი გალობით და ჭიკჭიკით იყო სავსე. ინ-  
დოელთა თვითოეული ტომი სიმართლეს  
მისდევდა, სამართლიანადა ცხოვრობდა და  
ომისა არა იცოდა-რა. დიდი ხნის განმავლო-  
ბაში არ იცოდა ხალხმა, რა არის ჩხუბი.

ყოველ საღამოს ინდოელები თავის ვიგ-  
ვამებთან ისხდენ და ცას შესცქეროდენ, ვარ-  
სკვლავებით სტკბებოდენ. და ერთხელ ნახეს  
ინდოელებმა, რომ ერთი ვარსკვლავი ზეცას  
მოსწყდა, დედამიწამდე ნახევარი გზა გაიარა  
და შეჩერდა. ეს ვარსკვლავი ისეთი იყო, ვით  
ცეცხლოვანი ფრინველი.

და ერთ მამაც ვაჟკაცს სიზმარში ეჩვენა  
ეს ვარსკვლავი. ესიზმრა ვაჟკაცს, რომ ეს  
ვარსკვლავი მივიდა მასთან, მის გვერდით  
დადგა, ვით მშვენიერი, ტანადი-ქალი, და  
ასე უთხრა: „მე დავტოვე ჩემი ციური სა-  
ცხოვრებელი. წითელკანიანი დავინახე და  
შევიყვარე. თქვენს ბრძენ წინამძღოლებს  
ჰკითხე, რა სახე მივიღო, რომ საუკუნოდ  
თქვენ ხალხთან დავრჩე და თქვენი ხალხის  
სიყვარული დავიმსახურო?“

გამოელვინა ვაჟკაცს და წინამძღოლთა  
კრებაზე წავიდა. უამბო ყველაფერი, რაც კი  
ესიზმრა. ბრძენმა წინამძღოლებმა სთქვეს:

„ვარსკვლავმა თვითონ გადაწყვიტოს და რა სახეც ნებას, მიიღოს. ნაძვის მწვერვალზე-დაც შეუძლია დასახლება, ყვავილის გულშიც და ყველგან, სადაც კი უნდა იყოს, ჩვენთვის საამო და საყვარელი იქნება. ბრძენმა წინამძღოლებმა აავსეს თამბაქოთი თავისი ჩიბუხი მშვიდობისა და ამ ჩიბუხის ბოლი ვარსკვლავს უძღვნეს—ნიშნად სალამისა და სიყვარულისა.

ვარსკვლავიც უფრო და უფრო ქვევით ჩამოდრიოდა, მთელი სოფელი თავისი სხივით გაანათა და თეთრ ვარდში მიიმაღა, იმ თეთრ ვარდში, მთაზე რომ ჰყვავის. ვერა ხედავდა იმ ხალხს, რომელიც ასე შეჰყვარებოდა და არ ესმოდა ამ ხალხის ხმა. მაშინ მთის ვარდი დასტოვა, ბარად დაეშვა და იქ უბრალო მინდვრის ყვავილში დასახლდა. მაგრამ ველად მოარული ბიზონების ჯოგები ყვავილის ახლო დადიოდნენ და ვარსკვლოვანი ყვავილიც მუდამ შიშში იყო.

და ნახეს ბრძენებმა, რომ ვარსკვლავი ველიდან ზემოთ აღიმართა. შეეშინდათ თურმე, ეგონათ, ვარსკვლავს კვლავ ზეცაში დაბრუნება მოუწადინებიაო. მაგრამ ამ დროს ნაშმა სიომ დაბერა და ის ტბისკენ წაიღო. ვარსკვლავმა ტბაში თავისი თავი დაინახა,

დაინახა ცაზე მყოფი თავისი დების გამოხატულება და ისე შედგა ტბაზე, თითქო ნავიაო. ხოლო მეორე დილას მთელი ტბა წყლის ზამბახებით იყო მოფენილი.

„გაიშალა ჩვენი ღამის ვარსკვლავი“, — ამბობდენ პატარა ბავშვები. მოხუცებულებმა კი სთქვეს: „ძლივს არ მოვიდა თეთრი ვარსკვლავი ჩვენთან საცხოვრებლად!“

მთელი ხალხი გარეთ გამოვიდა, ნავებში ჩასხდა და ახალი ყვავილის სადიდებლად სიმღერა დაიწყო.

## თ ა ვ ი X.

როგორ გადაარჩინა არწივმა ბიჭი.

ბებერი ოპეჩი რომ ქალებს უამბობდა თეთრი ყვავილის ამბავს, ყმაწვილკაცობა მოხუცებული შინ-გე-ბეს გარშემო შეკრებილიყო, ბალახზე დამსხდარიყო და საინტერესო ამბის მოლოდინში სდუმდა. შინ-გე-ბე კურდღლის კვალს მიუბრუნდა და ჰკითხა: — იცი, რათ იკეთებენ ინდოელები თმაში არწივის ფრთას?

კურდღლის კვალმა უკვე იცოდა, რომ ეს ჩვეულება ინდოელებში იმიტომ დამყა-

რებულა, რადგან ძნელია, ყოველთვის მო-  
ჰკლა ისარმიუწდომელ სიმაღლეში მფრინავი  
ფრინველთა ამაყი მეფე.

იცოდა, მაგრამ ჩვეულობისა გამო გა-  
ჩუმდა, რათა მოხუცებულ შინ-გე-ბეს თვი-  
თონვე განემარტა.

— ინდოელი არწივის ჯრთას იმიტომ  
ატარებს, რომ არწივი ჩვენი კეთილშობილი  
ძმაა. არწივი ტყუილად არავის აწყენინებს.  
ერთხელ კი ისეთი შემთხვევაც მოხდა, რომ  
არწივმა ბავში სიკვდილს გადაარჩინა. აი,  
ყური დამიგდეთ, როგორ მოხდა ეს ამბავი.

აქამდეც ჩუმად ისხდენ და თვალები შინ-  
გე-ბესთვის მიეპყროთ, ამ სიტყვების გაგო-  
ნებაზე კი ყველას ღრმა ქშენა აღმოხდა,  
რაიც, ინდოელების ზრდილობის მიხედვით,  
იმას ნიშნავს, რომ მსმენელი ყურადღებად  
არის გადაქცეული.

— ერთხელ როგორღაც ყრმა „ბრწყინ-  
ვალე სხივი“ მაღალი მთების ახლო ნადი-  
რობდა, — დაიწყო თავისი ამბავი შინ-გე-ბემ, —  
და ერთი მთის ახლო ფრთამოტეხილი ნორ-  
ჩი არწივი იპოვა. ყრმა ნადირობას ჩვეული  
იყო, ხოლო ისიც კარგად იცოდა, რომ ვინც  
დაჭრილია და იტანჯება, იმას სიბრალულით  
უნდა მოეპყრო და უშველო. და ბრწყინვალე

სხივიც, იმის მაგივრად, რომ ისარი ეტყობო-  
ცნა, არწივს აღერსაანად მიუახლოვდა და  
სინჯვა დაუწყო. არწივი სულ პატარა იყო,  
ეტყობოდა, ჯერ ფრენა არ სცოდნოდა, ბუ-  
დიდან ჩამოვარდნილიყო და კლდეზე დაგო-  
რების დროს ფრთა ევნო. ბრწყინვალე სხივმა  
არწივი ფრთხილად აიყვანა ხელში, ვიგვამში  
მიიყვანა, წყალი გაათბო, წყლული გაჰბანა  
ისე, როგორც დიდი მკურნალისაგან ენახა,  
და ტყავის თასმებით შეუკრა დაჭრილი ად-  
გილი. შემდეგ ბუდე გაუკეთა, შიგ ხავსი  
ჩაუგო და კარგად გააძლო.

არწივი ბრწყინვალე სხივს სრული ნდო-  
ბით უყურებდა, რადგან მას აქ ისე ექცე-  
ოდნენ, როგორც ძმას.

გავიდა თვე. არწივი სულ მთლად განი-  
კურნა, ფრთა მოუჩჩა, გაიზარდა კიდევც და  
ბრწყინვალე სხივის მამამ შვილს გამოუცხა-  
და, ახლა კი დროა ჩვენი სტუმარი გავათავი-  
სუფლოთო. ყრმამ არწივი აიყვანა, მხარზე  
შეისვა და ხშირი ტყის სიღრმეში შევიდა.  
ეშინოდა, ვაი თუ არწივმა ჯერ კარგად ფრე-  
ნა ვერ შეიძლოს და სხვა მონადირეებმა მო-  
ჰკლანო. ტყის სიღრმეში რომ მივიდნენ,  
ბრწყინვალე სხივმა არწივი მალლა ასწია და  
გაუშვა. არწივი აფრინდა, უშველებელი სა-

ღი ფრთები გაშალა, იგრძნო თავისი ძალა, თავისი სიმძლავრე და დიადობა მოაგონდა და ზევითკენ აიწია. უფრო და უფრო მაღლა იწევდა, მაგრამ თავს დასტრიალებდა ყრმას.

როდესაც ბრწყინვალე სხივი დარწმუნდა, რომ მეგობარი გაუფრინდა, გამობრუნდა და შინისკენ წამოვიდა. უკვე შორს იყო იმ ადგილიდან, სადაც არწივი გაუშვა, ზევით აიხედა და არწივი დაინახა, რომელიც ზევიდან სულ იმას დასცქეროდა. ეტყობოდა, არწივსაც ძალიან ეძნელებოდა თავისი მეგობრის გაშორება. მთელი დღე იქა ტრიალებდა არწივი და ყრმას არ შორდებოდა. მაშინ ბრწყინვალე სხივი ხშირ ბუჩქნარში მიიმალა, რომ არწივს აღარ შესძლებოდა მისი დანახვა. არწივმაც იტრიალა, იტრიალა და რა თავისი მეგობარი ველარსად ნახა, ფრთები გაშალა და შორეული მთებისაკენ გაემართა.

გავიდა ზაფხული, გავიდა ზამთარი და გაზაფხული დადგა. კვლავ ყველაფერი ამწვანდა და აყვავდა, ტბებზედაც და მდინარეებზე ყინული დაიძრა და ინდოელებიც სათევზაოდ და სანადიროდ დაემზადენ. ზამთრის შიმშილობის შემდეგ კარგი იქნებოდა ცოცხალი თევზით პირის ჩაგემრიელება. მდინარეში საუკეთესო ორაგული დიდი ჩანჩქე-

რის ცოტა ზევით მოიპოებოდა. მაგრამ ეს ადგილი მეტად სახიფათო იყო: მდინარეებს ადვილად შეეძლო მეთევზე შიგ ჩანჩქერში შთაენთქა და მხოლოდ ძალიან ფრთხილნი და მამაცნი თუ ბედავდენ ამ ადგილებში თევზაობას.

აპრილის დილა იყო. ის იყო მზე ამოვიდა, როცა ბრწყინვალე სხივი მარტოდ-მარტო ჩაჯდა ნავში და სწორედ ამ სახიფათო ადგილისაკენ გასწია, ჩანჩქერის ზემოთ, ორაგულის დასაჭერად. უწინაც ყოფილიყო ამ ადგილებში და თევზაობას ყოველთვის მშვიდობით ჩაევლო, რადგან მეტად ფრთხილი იყო და ხოფებს მარჯვედ უსვამდა, თუ მდინარეა ჩანჩქერისაკენ გაიტაცებდა. ძალიან კარგი სათევზაო ადგილი იყო. იმდენი თევზი იყო, რომ ბრწყინვალე სხივი ვერც კი ასწრებდა ამოთრევას. ის ისე გაერთო თავისი საქმით, რომ ვერც კი შეამჩნია, რომ მდინარეებს მისი ნავი ჩანჩქერისაკენ მიჰქონდა. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა უკვე გვიან იყო. მისი ნავი მორევში დატრიალდა და ქვას ისეთი ძალით მიეჯახა, რომ ხოფები სულ მთლად დაიმსხვრა. შემდეგ ნავმა მორევიდან უცბად ამოიყურყუმალა. და ქვევით, ჩანჩქერისაკენ, დაქანდა.



ბრწყინვალე სხივი არ დაბნეულა, ნავის ბოლოზე დაჯდა და ხოფების მაგივრად ხელები მოიმარჯვა, რომ მდინარებისათვის წინააღმდეგობა გაეწია, ნაპირს მიახლოებოდა და თავი ეხსნა ხითათისაგან. ჩანჩქერი კი უფრო და უფრო ახლოა, საშინელი შხუილით სცემს წყალი. ახლა კი იგრძნო ყრმამ, რომ ყოველივე ცდა ამაოა. ნავში ფეხზე წამოდგა, აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდა და გალობა დაიწყო; როგორც აქვს ჩვეულება სიკვდილის წინ ყოველ მამაც ინდოელს, უმაღლესი კეთილი სულის სადიდებელი გალობა დაიწყო.

და როდესაც მოწმენდილ და ნათელ ცას შესცქეროდა, უეცრად რაღაც ღრუბელი ჩამოეთარა და ცა დაუმაჯა. ეს არწივი იყო, რომელსაც თავისი მძლავრი ფრთები უაეშალა და ყრმას დასტრიალებდა. ბრწყინვალე სხივმა არწივს თვალი მიაშტერა და მაშინვე იგრძნო, რომ თვალეში მტრობა არ უღვიოდა, რომ ამ არწივში იყო მისი ხსნა. ნავი უკვე ჩანჩქერის პირთან მისულიყო და არწივიც ქვევით დაშვებულიყო და ბიჭისათვის თავისი ბრჭალები გამოეშვირა. და სწორედ იმ დროს, როცა ნავი ქვევით უფსკრულში ეშვებოდა, ბიჭი არწივის ფეხებს დაებლაუჭა და ჰაერში დარჩა.

არწივიც და ბიჭიც ჩანჩქერის ქვევით  
საშინელი კლდისაკენ მიფრინავდენ. არწივს  
ძალიან ეძნებოდა ასეთი სიმძიმის შემაგ-  
რება, თავის უშველებელ ფრთებს აქნევდა  
და უფრო და უფრო ქვევით ეშვებოდა ჩან-  
ჩქერის ქვემოთ მდებარე ქვიშიანი ნაპირისკენ.

ბოლოს, როგორც იყო, არწივმა ნაპი-  
რამდე მიაწია, ყრმა მიწაზე დაუშვა და და-  
ქანცულ-დატანჯული იქვე მის გვერდით  
დაჯდა. გავიდა რამდენიმე წუთი. არწივმა  
კვლავ გაშალა ფრთები და ნელ-ნელა ზევით-  
კენ აიმართა, თავის სამეფოში, და მალე  
სრულიადაც მოსცილდა ბრწყინვალე სხივის  
თვალებს.

შინ-გე-ბე გაჩერდა.

— უჰ, — შვებით მოიბრუნეს სული მსმე-  
ნელებმა, — კარგი ამბავი იყო, სწორე მოგახ-  
სენო.

## თ ა ვ ი XI.

### გასართობი.

წვიმის შემდეგ ვიგვამები გამხიარულდა.  
ყველანი კმაყოფილი იყვნენ. კმაყოფილი იყო  
საქონელიც, რადგან ახლა საკვები მეტი ექ-  
ნებოდა და კარგადაც გამოძლებოდა. მოხუ-



სირბილში გაჯიბრება.

ცებულებმა ლაპარაკი დაიწყეს, დროა დღე-  
სასწაულიც გავმართოთო. აქამდე გაჩუმებული

ახალგაზრდობაც გამხიარულდა. ახლა ხშირად შეხვდებოდით ბავშებს და ყრმებს, რომელნიც მინდორში სხვადასხვა თამაშობას მართავდნენ.

ინდოელის გასართობი სულ სხვაა, ვიდრე მისი მეზობელი თეთრებისა. გასაგებიცაა: ინდოელს არ უხდება თეთრსავით შრომა, არ უხდება ძვირფასი სახლების აშენება, არ უხდება ტანისამოსის ყიდვა და საჭმლის გადამეტებულად დამზადება. ინდოელის ბინა ერთ-ორ დღეში შენდება, ტანისამოსს ცოლი და ქალიშვილი უკერავს, საჭმელს კი თეთრების მოსვლამდე ნადირობით და თევზაობით შოულობდა, ახლა კი ცოტაოდენ სიმინდს და ხორბალს უმატებს, რომელთა მოსვლას არც დიდი დრო უნდა, არც შრომა.

დრო ბევრი რჩება და ამ დროს ნადირობასა და მოძრაობას ანდომებს. ამიტომ საჭიროა—მარჯვე, ამტანი და მძლავრი იყოს. ინდოელიც ბავშობიდანვე ამას ეჩვევა. თუ ჯერ პატარაა და არ შეუძლია სანადიროდ გასვლა, თამაშობას აწყობს. ამ თამაშობას მისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან აქ უნდა გამოიჩინოს მთელი თავისი სიმარჯვე, სიმამაცე და მოხერხება. საქმეც ინდოელისთვის იგივე თამაშობაა, თამაშობის განგრძობაა.

უწინ, როდესაც ინდოელებს ხშირად უხდებოდათ ომი, მტრულად განწყობილ ტომებთან შეტაკება, მათ თავისი ფიზიკური ძალა და თვისებანი ძალიან უნდა განევითარებიათ. მტრისაგან გაქცევა ან ცხენით შეიძლებოდა, ან ქვეითად. მაშასადამე, სწრაფ და ხანგრძლივ სირბილს უნდა შესწავლოდნენ. ახლა ინდოელ ტომთა შორის ომი აღარ არის, ჩვეულება კი ძველი დარჩა; ინდოელი ისევე იზრდება და იწვრთნება, როგორც უწინ.

მინდორში რამდენიმე უფროსი და ბავშვები შეიკრიბენ. უფროსები ბავშვებს რიგ-რიგად აყენებენ და ყურს უგდებენ, რომ წინ არავინ გამოვიდეს, თუმცა ყურისგდება არც კი არის საჭირო: ბავშვები თავის თავს ყურს თვითონ უგდებენ; „პატიოსან“ თამაშობას არიან მიჩვეულნი, და იციან, რა სირცხვილს უქადისთ ყოველგვარი მოტყუება. შორს, შორს მათგან, მინდვრის მეორე ბოლოში, ჩრდილიანი მუხის ქვეშ დგას ერთ-ერთი უფროსთაგანი და გამწკრივებულ ბიჭებს თვალს არ აშორებს. კურდღლის კვალმა თავისი მოკასინი გაიძრო და მოუთმენლად ელის ნიშანს. ბიჭების თვალები მუხის ქვეშ მდგომ ინდოელს მისჩერებია.

აგერ, იმან ხელი ასწია და რაღაცა დაი-  
ყვირა. იმ წამსვე ამოდრავდენ ბავშვები და  
წარმოუდგენელი სისწრაფით გაქანდენ. აგერ  
ერთს ფეხსაცმელი გავარდა, მეორე წაიქცა  
და იმაზე გადაირბინეს სხვებმა, ერთმანეთს  
დაეჯახენ, ვიღაცას ცხვირიდან სისხლი სდის,  
მაგრამ ტირილი და კვნესა არ ისმის... მო-  
ხუცებული ინდოელი აცხადებს, ვინ მივიდა  
პირველი, და დამარცხებულნი აღტაცებული  
ყვირილით მიმართავენ თავის გამარჯვებულ  
ამხანაგს.

სირბილს ბურთაობა მოჰყვება. ეს თა-  
მაშობა პირველივით ადვილი არ არის; მას-  
ში უფროსებიც იღებენ მონაწილეობას. მო-  
თამაშენი ორ ჯგუფად იყოფიან. თვითოეულ  
ჯგუფს თავის უფროსი—თამაშობის გამგე—  
ჰყავს. უზარმაზარ მინდორზე ერთმანეთისა-  
გან კარგა მოშორებით ორ მაღალ ბოძს  
სდგამენ. თვითოეულ ჯგუფს თავისი ბოძი  
აქვს და თამაშობის მიზანიც ის არის, რომ  
ბურთი თავის ბოძთან მიაგდონ. ყველა მო-  
ნაწილეს ხელში მოკაკული ჯოხი უჭირავს,  
რომლის ბოლოზეც განიერი ბადეა მიკრული.  
ბადის თოკის წვერი ხელში აქვთ. რომელი-  
მე მოხუცებულთაგანი ბურთს ისვრის. ამ  
ბურთს ჯოხზე გაკეთებული ბადით იჭერენ

და თავისი ბოძისკენ ისვრიან. მაგრამ მათ  
მოწინააღმდეგეებსაც არა სძინავთ და როცა



ბურთის თამაში.

ბურთს ხელთ იგდებენ, თავისი ბოძისკენ ისვ-  
რიან. დიდი სიფრთხილე, სიმარჯვე და სი-  
მარდვა საჭირო, როგორმე ისე დაიჭირო და გა-

დააგდო ბურთი, რომ მოწინააღმდეგეს არ  
ჩაუვარდეს ხელში. მოთამაშენი ერთმანეთს  
ეხლებიან, აქცევენ, ხშირად დასჭრიან კი-  
დეც ერთმანეთს, მაგრამ აქაც ვერ გაიგებთ  
ვერც კვნესას, ვერც ყვირილს: ყველას  
რცხვენია სისუსტის გამოჩენა. თუ თანასწო-  
რი ძალებია, თამაშობა ძალიან დიდხანს გას-  
ტანს ხოლმე, მანამ რომელიმე მოთამაშეთა-  
განი ბურთს თავის ბოძთან მიაგდებს. მაშინ  
თამაშობა გათავებულთაა. ყოველი მხრიდან  
ისმის მხიარული ყვირილი „გე-გე-ია-ჰნი-  
გუკ“! ამ ყვირილით გამარჯვებულთ ულო-  
ცავენ.

თუ ისე მოხდა, რომ ინდოელები ერ-  
თად შეიკრიბენ და თამაშობა დაიწყეს, დალ-  
ლილობა არ იციან, მთელი დღე სხვადასხვა  
თამაშობაში გადის. მოზარდი თაობაც და  
უფროსებიც ყველა ერთად იღებენ მონაწი-  
ლეობას საერთო თამაშობაში, ან კიდევ  
ჯგუფებად გავლენ და თვითოეული ჯგუფი  
თავისთავის თამაშობს. ამ თამაშობაში უნდა  
გამოიჩინოს მონაწილემ სიმარდე, ძალ-ღონე,  
მოხერხება და სწრაფი მოსაზრება.

პატარებმა რგოლის სროლა დაიწყეს.  
რგოლი ლითონისაა და მსროლელმა ისე  
უნდა გაისროლოს, რომ რგოლი რაც შეიძ-



ლება შორს გაგორდეს გზაზე. გზის მარ-  
ჯვნივ უფრო მოზრდილნი დგანან ერთ მუხლ-  
ზე დაჩოქილნი. ხელში შვილდი უჭირავთ,  
მაგრად გაჭიმული ლამბით და ზედ დადე-  
ბულ-დამზადებული ისრით. აგერ მოგორავს  
გზაზე რგოლი, აქეთ-იქიდან კი გამოსრო-  
ლილი ისრები ბზუიან, რგოლს ეცემიან,  
მოძრაობას უბრკოლებენ და ბოლოს სრუ-  
ლიადაც აჩერებენ. მოხუცებულნი შორიან-  
ლოსა დგანან, თამაშობას თვალყურს ადევ-  
ნებენ და ხანდახან თავის მრავალმნიშვნე-  
ლოვან „გუკ“-ს წარმოსთქვამენ, რაიც მსრო-  
ლელს სიამაყით ავსებს. მეტი ჯილდო ახალ-  
გაზრდას ვერ წარმოუდგენია.


მაგრამ, ეტყობა, ინდოელს ყველა თამა-  
შობას და გასართობს დიდი ურჩევნია. რო-  
გორც კი ფეხს აიდგამს ინდოელი, განუ-  
ყრელადა რჩება ცხენთან. უძველესი დრო-  
იდანვე ცხენი ინდოელისათვის საუკეთესო და  
ერთგული მეგობარია. რაც უნდა გაჭირვება  
ადგეს, თვითონ შიმშილით მოკვდება, ქამარს  
უფრო და უფრო მაგრა მოიჭერს, მაგრამ თა-  
ვის მეგობარს კი შიმშილს არ აგრძნობი-  
ნებს. მართალია, ისეთი ადგილებიც არის,  
სადაც ინდოელები მთლად გალატაკებულან,  
არც სახნავი აქვთ, არც საძოვარი, სიმინდი

ველარსად დაუთესიათ, და ასეთ ადგილებში ცხენის ხსენებაც აღარ არის. თუ ხანდახან შეხვდებით კიდევ ცხენებს, ისეთივე საბრალონი და დაღეულნი არიან, როგორც მათი პატრონები. აქ აღარც დოღი ახსოვთ, აღარც თამაშობა. მუდამ მშიერს, შიმშილით მომაკვდავს, რაღა თამაშობა მოაგონდება? მაგრამ იქ, სადაც ინდოელს ტყე შერჩა, მინდორ-ველი აქვს, იქ თავისი ერთგული მეგობარი—ცხენიც—ყველა ჰყავს.

და, ეტყობა, ინდოელი და ცხენი ისე არიან შეთვისებულნი, რომ ერთი შეხედვით ერთმანეთის აზრი ესმით. მათრახი აქ საჭირო არ არის, საკმარისია პატრონის ერთი შეხედვა, ერთი სიტყვა.

პატარა, ბალნიანი ცხენები ტყის პირზე გამოიყვანეს, მინდორთან. გარშემო ვიგვამებოდან ხალხი შეკრებილა, ყველანი მონაწილეობას იღებენ იმ მხიარულებაში, რომლითაც ყმაწვილკაცობა არის გატაცებული. ცხენები მზად არიან. თვითოეულ მათგანს კარგად ესმის, რაში არის საქმე. აგერ, ზურგზე შეახტა პატრონი, რომლისაგან მხოლოდ აღერსი და სიყვარული ახსოვს. ცხენი წყნარადა დგას. იშვიათად თუ ფეხს გადასდგამს, თორემ გაქვავებულივით არის გა-

ქცევის მოლოდინში. ერთი წუთიც – და ის-  
მის ყვირილი, საშინელი მხეცური ყვირილი,



დ ი ლ ი.

რომელიც თითქო ძვალსა და რბილში უვლის  
ცხენებს, და ცხენიც ტყვიანაკრავით, მიაფ-

რენს თითქო მასთან შესისხლხორცებულ და შეერთებულ მხედარს. არც ხევი, არც ღობე, არავითარი დაბრკოლება არ არსებობს ამ გაგიჟებული ჭენებისათვის. უფრო და უფრო შორს მიჰქრიან ჩაუქი მხედრები, ოღონდ არ ყოფილა შემთხვევა, რომ—ჩემს მოქიშპეთ დავასწროო—ვერაგობა ან ეშმაკობა ეხმაროს ვისმე. თავის ცხენს არა ჰქანცავს, არა! საქმე მხოლოდ იმაშია, ვინ არის უფრო გამძლე, მარჯვე, ვინ უფრო კარგად გახედნა თავისი ბედაური და სწრაფ, ძნელ, დაბრკოლებებით სავსე რბენას შეაჩვია.

ერთნი გაათავებენ, მათ მაგივრად სხვანი გამოდიან. სახის გამომეტყველება ყველას სერიოზული, დარბაისელი აქვს; თვითოეული გულისფანცქალით ელის მოხუცებულთა და წინამძღოლთა მსჯავრს.

მზე უკვე მოიქანცა, ნელ-ნელა დასავლეთისკენ ეშვება, ჩრდილი გრძელდება, თამაშობის დღე თავდება. დაღლილნი, მაგრამ კმაყოფილნი მიდიან ახალგაზრდანი და მოხუცებულნი თავთავიანთი ვიგვამებისაკენ. ხვალაც იგივე იქნება, ხვალაც თამაშობა ექნებათ.

ცა ვარსკვლავებით მოიჭედა, რომელნიცხის შავ ფოთლნარში ნაზ და მკრთალ სხი-

ვებს ჰფენენ. გარშემო სრული სიჩუმეა. თავის ვიგვამებთან მჯდომი ინდოელებიც არ არღვევენ ამ სიჩუმეს, თავის გრძელ ჩიბუხებს სწუწნიან და ბოლს მშვიდობისას ცისაკენ უშვებენ.

მხოლოდ ერთ ვიგვამთან ისმის ჩუმი საუბარი: მოხუცებულ შინ-გე-ბეს თავის გარშემო ყმაწვილები მოუგროვებია და დიად სულზე ებაასება. მსმენელები ჩუმადა სხედან. ბრძენია ბებერი შინ-გე-ბე და თუ რასმე ბრძანებს, მხოლოდ დიდმნიშვნელოლოვან და ბრძნულ რასმე. ყველანი მოწიწებით ისმენენ.

## თ ა ვ ი XII.

### ინდოელების ნაწერები.

კურდღლის კვალი ხშირად გულომოდგინედ ისმენს მოხუცებულთა ნაამბობს. სულგანაბული ზის და ღრმად იმარხავს გულში თქმულებას წინაპართა ღვაწლზე, იმაზე, თუ როგორ ემსახურობდენ ერის სახელოვანი შვილები ხალხის კეთილდღეობას.

ხარბად და ყურადღებით ისმენს ამ ამბებს, რომ თავის დროზე სწორედ ამსახით

და ამ ლექსით გადასცეს ეს თქმულებები  
თავის შვილებს და შვილიშვილებს.

ხალხის ისტორიაც ასევე იქმნება. ეს  
ისტორია ჩაწერილი არ არის, იგი მხოლოდ  
ზეპირად გადადის მოდგმიდან-მოდგმაში.

იმ ისტორიაში მხოლოდ უმთავრესი და  
მრავალმნიშვნელოვანი ფაქტებია, მათი ფი-  
ქრით, მოხსენებული. ამიტომ არის, რომ  
ინდოელები განსაკუთრებული თაყვანისცე-  
მით ეკიდებიან მთხრობელებს და თუნდა,  
ჩვენი თვალთაზრისით, ნაამბობი სიმართლეს  
სრულიადაც მოკლებული იყოს და სასაცი-  
ლოც კი იყოს, ინდოელი მას სრულ ჭეშმა-  
რიტებად მიიღებს.

— უჰ, — ტყვის იგი სერიოზული გამო-  
მეტყველებით და სულს მოიბრუნებს, — კარ-  
გი ამბავია!

მაგრამ ინდოელებს ნაწერებიც დარჩათ,  
ოღონდ ისეთები არა, როგორც თეთრებსა  
აქვთ, და მათი წაკითხვა მარტო ინდოელე-  
ბის ბრძენ წინამძღოლთ შეუძლიათ. კურდ-  
ღლის კვალს ასეთი ნაწერები შინ-გე-ბესთან  
ენახა და შინ-გე-ბეს კურდღლის კვალისათვის  
წაეკითხა ისინი. ეს ნაწერები ჯოხებია ზედ-  
დაჭდებული ნიშნებით. ხშირად ჯოხებსა ღე-  
ბავდენ კიდევ. თვითოეული ნიშანი ხალხის

ცხოვრებაში მომხდარ რაიმე დიდმნიშვნელოვან მოვლენას მოწმობს, ნაჭდევის მნიშვნელობას მოხუცი წინამძღოლები უხსნიან ყმაწვილებს და ასე გადადის საუკუნიდან საუკუნემდე ძველი მოთხრობა. კურდღლის კვალი გულმოდგინედ და ყურადღებით უსმენს შინ-გე-ბეს, რომელიც ნაჭდევის მნიშვნელობას უხსნის: „ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან თეთრები მოვიდენ. მშვიდობიანი ხალხია. საკვირველი ნივთები აქვთ. ვინ არიან?“. კურდღლის კვალს ერთი წუთითაც კი არ ეპარება ეჭვი ამ ცნობების ჭეშმარიტებაში, თუმცა იცის, რომ თეთრები საზიზღარი ხალხია, მხოლოდ ეს ესმის, მაგრამ ნაწერის ცნობა მაინც სჯერა. მით უფრო სჯერა, რომ არა ერთხელ გაუგონია, პირველმოსული თეთრები სულ არა ჰგავდენ ახლანდელებსაო: მშვიდობიანები იყვნენ, პატივს გცემდენ და დადებულ ხელშეკრულებებს პირნათლად ასრულებდენო.

ინდოელების სხვა ტომებს ნაწერი ძეგლები სვეტების სახით დაუტოვებიათ და ზედ იმ ნადირის სახე გამოუსახავთ, რომლის სახელიც ტომსა რქმევია. ხშირად ასეთ სვეტებზე ერთად ორი ნადირიც არის გამოსახული: ეს იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთს

ორი ტომი შეეყარა, ერთი ტომის ყმაწვილ-  
მა მეორე ტომის ქალი ცოლად შეირთო  
და ამგვარად ტომებიც დანათესავდნენ.

კურდღლის კვალი ხშირად იჯდა ხოლ-  
მე თავის ვიგვამთან და არყის ხის ქერქზე  
რალაც ნიშნებსა ბლახნიდა. ასეთი ნიშნები  
დიდი მკურნალის ვიგვამში ენახა აქ მელაც  
იყო გამოხატული, მდინარეც და ვიგვამიც,  
მზის და მთვარის გამომსახველი ბურთი და  
ნამგალიც... ღრმად ჩაფიქრებული უჯდა  
კურდღლის კვალი ამ ნიშნებს. თვითონაც  
კარგად ესმოდა და ბრძენ მოხუცებულთა-  
განაც გაეგო, რომ ამ ნიშნების საშუალებით  
უსიტყვოდ შეიძლება თავისი ფიქრის სხვი-  
სადმი გადაცემა. იმ დღეს არ იყო, რომ  
იაგუმ ერთი ინდოელის, მეზობელი ტომის  
შვილის, თავგადასავალი უამბო?

ეს ინდოელი თურმე დათვზე ნადირობდა  
და ისე გატაცებულიყო ამ საქმით, რომ  
ძალიან შორს შესულიყო ტყეში. ამ დროს  
წვიმა მოვიდა, მისი ფეხის კვალი ჩარეცხა  
და ინდოელსაც გზა დაებნა. მაშინ თავისი  
ტომავაკით \*) ხის ქერქზე მელის სახე გამო-

---

\*) ტომავაკი—ცულის მსგავსია, რომელსაც ინდო-  
ელები ომში და ნადირობაში ხმარობენ.



ხატა და მელის ფეხქვეშ რგული გააკეთა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ის მელის ტომს ეკუთვნის და უკვე მთელი დღე-ღამე უგზო-უკვლოდ დაეხეტება. მიდიოდა, თან ასეთ ნიშნებს აკეთებდა ხეებზე და ტოტებს ამტვრევდა. ამავე ტომის მეორე მონადირემ



მკურნალის ვიგვამი.

მესამე დღეს იპოვნა დაკარგული. ტყეში დადიოდა, როდესაც დამტვრეული ტოტები შეამჩნია. ხეებზე დატოვებული ნიშანი იპოვნა, ქვიშაზე და ტალახზე ფეხის კვალი გამოიკვლია. და დარწმუნდა, რომ იმისი ტომიდან ვილაცას გზა დაბნევია და განსაცდელ-

ში იმყოფება. ამ ნიშნებითვე გაიგო, რომ დაკარგული მშიერია და დაუძლურებულია. ეს იქიდანა ჩანდა, რომ მელის უკანასკნელ სახეს ფეხქვეშ სამი რგული ჰქონდა. ეს რგულები იმას მოწმობდენ, რომ დაკარგული ტყეში უკვე სამი დღე დაეხეტება, ხოლო სხვა ნიშნებიდანა ჩანდა, რომ ამ სამი დღის განმავლობაში ნადირობით ვერაფერი უშოვნია და სრულიად ქანცმიღებულია.

მესამე დღის მიწურულში დაკარგული იპოვნა, და ორივე ინდოელი მშვიდობით დაბრუნდა შინ.

ზაფხულის გასულს კურდღლის კვალი დიდი მკურნალის ვიგვამისაკენ გაემართა. მოწიწებით და დიდი პატივისცემით მიმართა დიდ მკურნალს თხოვნით, რომ ბრძენს აეხსნა მისთვის, რას ნიშნავენ მის ვიგვამში გაკეთებული ნაწერები, და ებრძანებია, იყვნენ თუ არა მათ ხალხში ისეთნი, რომელთაც უსიტყვოდ, მხოლოდ ნიშნებით, შეეძლოთ თავისი აზრის გადაცემა.

მკურნალს ისეთი შეხედულება ჰქონდა, რომ ბევრს მისი კიდევაც ეშინოდა. პირისახეზე რაღაც წამლები ესვა და მკაცრად გამოიყურებოდა, ყელზე გველის კბილების კრიალოსანი ეხვია, თმას არწივის ორი მშვე-

ნიერი ფრთა უმშვენებდა. ვიგვამში ყველ-  
გან ბალახით სავსე პატარა პარკები ჰქონდა  
ჩამოკიდებული და არყის ქერქის ფირფიტე-  
ბი ზედწარწერებით; ვიგვამის შესავალთან  
კი ჯოხები ერჭო და ზედ ქსოვილის ნაჭრე-  
ბი და სიმიდის ფუჩი ეკიდა.

მაგრამ კურდღლის კვალს სრულიადაც  
არ ეშინოდა; ნიშნების მნიშვნელობის გაგე-  
ბის სურვილი ყოველგვარ შიშს ფარავდა.

დიდი მკურნალი შიგ თვალში ჩასცქე-  
როდა სიბრძნისმოყვარე ყმაწვილს. ეტყობა,  
იგრძნო, რომ ყმაწვილი უბრალო ცნობის-  
მოყვარეობით კი არ ხელმძღვანელობდა,  
არამედ სწავლის ჭეშმარიტი სურვილი ჰქონ-  
და. ცოტა ხანს დიდი მკურნალი გაჩუმებუ-  
ლი იყო, მერე კი გაბრუნდა, ვიგვამის კუნ-  
ჭულში მივიდა, არყის ხის ქერქის რამდენიმე  
ნაფოტი, ზედწარწერით აჭრელებული, აიღო  
და კურდღლის კვალს უამბო თქმულება  
მწერლობის გამომგონ ჰაიავატაზე.

## თ ა ვ ი XIII.

### ბრძენი ჰაიავატა.

კურდღლის კვალი დიდხანს იჯდა მკურნალის ვიგვამში და მის წინ გადაშლილ ფირფიტებზე გამოყვანილ ნიშნებს გულმოდგინედ სინჯავდა. ისე დასჩერებოდა, თითქო უნდა თავის მეხსიერებაში საუკუნოდ გამოსწვას ეს ნიშნებო, მკურნალი კი ყმაწვილს აღერსით და სიყვარულით შესცქეროდა.

ბოლოს კურდღლის კვალმა სთხოვა: „მიაშე, ვინ იყო ეგ ჰაიავატა? რას ასწავლიდა ჩვენს ხალხს ეგ ბრძენთა-ბრძენი?“

დიდი მკურნალის გული სიამაყით აივსო, რომ ხალხში ასეთი ცნობისმოყვარე ყმაწვილები მოიპოვებიან. გრძნობდა, რომ კურდღლის კვალი სიტყვა-სიტყვით დაიხსოვებს და მომავალ თაობას სისწორით გადასცემს იმას, რაც წმინდად ითვლება.

— მრავალი, უამრავი მთვარე გავიდა მას შემდეგ, — დაიწყო მკურნალმა, — იმდენი

მთვარე, რომ შენ ვერც კი დათვლი. დიდი  
და მრავალკუნძულოვანი მდინარის პირს სამი  
ინდოელი იჯდა. შორიდან მოსულიყვნენ და  
პირველად გზა იმათ გამოეკვლიათ ამ ყვე-  
ლასათვის სრულიად უცნობი ადგილების-  
კენ. ჯერ აქ არავინ მოსულიყო, რადგან ეს  
ადგილები უღრანი ტყეებით იყო გარშემორ-  
ტყმული.

ჯერ კიდევ ამ ინდოელების მამებს ბევ-  
რი რამ სმენოდათ ამ მშვენიერი, მრავალ-  
კუნძულოვანი მდინარის შესახებ, და სამმა  
ინდოელმა თავის მამებს გამოუცხადა—მივ-  
დივართ, ჩვენ ვიპოვით იმ მდინარესაო. და,  
მართლაც, მის ნაპირზე, პატარა გორაკზე  
ისხდენ და მძლავრ და მედიდურ ტალღებს  
დასცქეროდენ.

მას შემდეგ, რაც ინდოელები გზას გაუ-  
დგენ, ღამის მზეს თავისი სახე უკვე სამჯერ  
შეეცვალა. მოკასინები გასცვეთოდათ, ფე-  
ხები დაჰლლოდათ, მაგრამ მდინარე იმდენად  
თვალწარმტაცი იყო, რომ მის ცქერაში  
ყველაფერი დავიწყებოდათ.

უეცრად პირდაპირ მათკენ მომავალი  
თეთრი ნავი შენიშნეს. ნავი იქიდან გამოჩნდა,  
სადაც, დღიური სავალის გათავების შემდეგ,  
მზე ჩადის.

სამმა ინდოელმა ნავში მჯდომი ქალარა წინამძღოლი დაინახა. ხოფები არა ჰქონდა; ნავი თავისთავად მოცურავდა, თუმცა მართვით არავინ მართავდა. ქალარა წინამძღოლმა ნავს უბრძანა ნაპირზე რმ ბორცვთან გაჩერებულიყო, სადაც ინდოელები ისხდენ, და ნავიც გაჩერდა.

ქალარა წინამძღოლმა ბრძანა: „მე ჰაიავატა ვარ. თქვენ და თქვენი ხალხის საშველად მოვედი. მიამბეთ, რას აკეთებს თქვენი ხალხი. მიამბეთ, როგორია თქვენი ნადირობა?“

ბორცვზე მჯდომნი ფეხზე წამოდგენ და ჰაიავატას თავისი ხალხის შესახებ ყველაფერი უამბეს. აქამდე დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი ხალხი მძლავრზე-უმძლავრესია, ახლა კი თავისი თავი კურდღლის ბაჭიებით უძლურად და სუსტად ეჩვენებოდათ. თავის ნადირობასაც უამბობდენ, ხოლო აღარ იყვნენ სიამაყით აღვსილნი, რადგან ხედავდენ, რომ ჰაიავატა ყველა წინამძღოლებზე უბრძნესი იყო და კარგად იცოდა, გულში რა ედოთ.

და ჰაიავატამ უთხრა: „წადით, დაუბრუნდით თქვენს ხალხს. მე მოვალ თქვენთან, როდესაც მზად იქნება ჩემი ბინა. ვი-

ცოდი, რომ მოხვიდოდით, რადგან ამ ულ-  
რან ტყეში გნახეთ. უკან დაბრუნდით და  
თქვენს ხალხს უთხარით, რომ მე მოვალ.  
უთხარით, რომ ჰაიავატას ვიგვამი დაუმზა-  
დონ“.

სამი ინდოელი ერთმანეთს ვერც კი  
ელაპარაკებოდა, იმდენად სავსე იყო მათი  
გული. ის ბილიკი იპოვნეს, რომელიც აქეთ  
მოსვლისას გაეტკებნათ და თავისი ხალხის-  
კენ გაეშურენ. როცა მივიდენ, უამბეს და-  
წვრილებით თეთრ ნავში მჯდომი ბრძენი  
წინამძღოლის ამბავი. და ხალხის წინამძღო-  
ლებმაც ვიგვამი დაუმზადეს.

„თავისი თეთრი ნავით მოვა“—ამბობ-  
დენ წინამძღოლნი. ვიგვამი ტბის პირას აუ-  
შენეს და ზედ ირმის საუკეთესო ტყავები  
გადააფარეს. ვიგვამი მთლად თეთრი იყო;  
შესავალი კი ღია დასტოვეს. და არავინ  
უყურებდა იმას, თუ როგორ დაიხურებოდა  
შესავალი.

ერთხელ დილით ვიგვამის შესავალი  
დახურული აღმოჩნდა, ხოლო ტბაზე საო-  
ცარი თეთრი ნავი იდგა. შეკრბა ხალხი, და  
მაღე ვიგვამის შესავალიც გაიღო და ხალ-  
ხის წინაშე ჰაიავატა წარსდგა. „ჰაიავატა“ ნი-

შნავს ბრძენ ადამიანს. ბევრი რამ ასწავლა ჰაიავატამ ხალხს.

მან ასწავლა ხალხს პურისა და ლობიოს თესვა და მოყვანა, ასწავლა ლობიოს საზამთროდ შენახვა, ქერქზე წარწერების ამოჭრა და მრავალი სხვა. უმთავრესად კი ის ასწავლა, თუ როგორ უნდა გამძლავრდეს ხალხი.

და სწორედ ამ დროს დარაჯნი მოცვივდენ ცნობით, რომ მათთან საომრად მტერი მოდის და დიდი ჯარი მოჰყავს. ახალგაზრდა მხედრები მაშინვე საომრად მზადებას შეუდგენ, პირზე ფერადი წამლები წაისვეს, იარაღი გასწმინდეს.

— თქვენი ტომების დიდი კრება გამართეთ და ტბასთან მთაზე მოგროვდით, — ბრძანა ჰაიავატამ.

ფეხმალმა შიკრიკებმა ეს ბრძანება ყველა ტომებს აუწყეს. წინამძღოლები და მამაცი მხედრები ტბასთან მთაზე შეიკრიბენ, მათი ცოლები კი იქვე ქვევით მათ ახლო იმყოფებოდენ.

მთელი ხალხი შეგროვილიყო და უკვე სამი დღე ელოდა ჰაიავატას. ის კი თავისი ვიგვამიდან არ გამოდიოდა. მეოთხე დღეს, დილას, წინამძღოლებმა ამოიჩინეს რამდენიმე კაცი და გაგზავნეს საკითხავად:



— ასე დიდხანს რათ გვალოდინებო?

ჰაიავატამ უბასუხა:

— მბრძანებელი ცისა მიბრძანებს, თუ თქვენს კრებას დავესწარი, დიდი მწუხარება დამატყდება თავს. თქვენთან მშვიდობიანობის მოსატანად ვიყავ მოვლენილი. მაგრამ რაკი გაჭირდა, მე თქვენ იმასაც გაჩვენებთ, როგორ უნდა ბრძოლა და გამარჯვება. კრებაზე მოვალ.

ჰაიავატა თავის თეთრ ნავში ჩაჯდა და ნავიც იმ ადგილისკენ წაიყვანა, სადაც ხალხი შეკრებილიყო და წინამძღოლები იმასღა ელოდნენ.

წინამძღოლები და მთელი ხალხი სიხარულის ყვირილით მიეგება ჰაიავატას მოსვლას. წყნარად და ჩუმად იდგა ჰაიავატა იქ, სადაც ხალხი შეკრებილიყო. მისი ქალი იქვე, მის უკან, იდგა, და ხალხმა ის მხოლოდ ახლა შეამჩნია. როდესაც მამამ შეხედა, ქალი გაშორდა და იქითკენ წავიდა, სადაც დედაკაცები იდგნენ.

პირველ დღეს ხალხის წინამძღოლები თავისი გეგმისა და განზრახვის შესახებ მსჯელობდნენ. ჰაიავატა სდუმდა და ყურს უგდებდა. მეორე დღეს მივიდა კრებაზე და ხალხს მიმართა. ხალხი უსმენდა. ჰაიავატა ბრძნულ

სიტყვებს ამბობდა. ყველა წინამძღოლმა დაი-  
ხსომა ჰაივატას სიტყვა. აი რას ამბობდა ის:  
— ძმებო! თქვენ სხვადასხვა ტომებისანი  
ხართ და ყველანი აქ ერთიდაიმავე განზრახ-  
ვით შეკრებილხართ. უნდა შეერთდეთ. ის  
ტომი, რომელიც თქვენ ომს გიპირებსთ,  
მეტად მძლავრია. ვერცერთი აქ მყოფი ტო-  
მი, სხვის დაუხმარებლად, ვერ შეედრება  
იმას. ძმებო! თქვენს შორის ძმური კავშირი  
დააარსეთ, ერთმანეთისათვის ძმები იყავით.  
ძმები იყავით და ყველაზე მძლავრნი თქვეე  
იქნებით!

გათავა თავისი სიტყვა ჰაივატამ და  
დაჯდა. სამი დღე ბჭობდენ წინამძღოლები  
და მერე მოახსენეს:

— ისე ვიზამთ, როგორც შენ გვირჩევ.  
დღეიდან ყოველგვარი უთანხმოება ჩვენში  
დავიწყებულია. ძმები ვიქნებით.

და ხუთივე ტომმა ერთი ხალხი შეად-  
გინა. კრება გათავდა. ჰაივატამ თავისი ქა-  
ლი მოიხმო და ნავისკენ გაემართა. მაგრამ  
როგორც კი ქალი მას მიუახლოვდა, ცაზე  
უშველებელი თეთრი ღრუბელი გაჩნდა  
ქუხილ-ფრინველი იყო. ამ უშველებელ-  
მა ღრუბელმა ჰაივატას ქალი აიტაცა  
და სადღაც გაჰქრა. თეთრი ნავი მოცურდა,

შიგ ჰაიავატა ჩაჯდა. ამ დროს ჰაერში სამაგალითო მუსიკა გაისმა, ტკბილი, ნაზი მუსიკა, სწორედ ისეთი, როგორც მაშინ ისმის, როცა ნაძვენარს სიო დაბერავს. მთელი ცა და დედამიწა ამ ნაზი მუსიკით იყო სავსე.

დიდხანს გლოვობდა ხალხი ჰაიავატას, გლოვობდა და სტიროდა, რადგან მას შემდეგ იგი არავის და არასოდეს არ უნახავს. მისი ვიგვამი ისევ-ისე ცარიელი იდგა.

ხუთი შეერთებული ტომი კი მეტად მძლავრი და ბრძენი ხალხი გახდა.

## თ ა ვ ი XIV.

### კ რ ე ბ ა.

შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს მკურნალის ვიგვამთან მოძრაობა იყო. კურდღლის კვალმა ამ მოძრაობის მიზეზი იცოდა და ძალიან უნდოდა გაეგო, რით გათავდებოდა საქმე.

მკურნალთან ყველა მეზობელი სოფლების უფროსები შეკრებილიყვნენ. უცხო ტომის მეტად შორეული სოფლების ზოგიერთი წინამძღოლებიც აქ იყვნენ.

კრებაზე გასარჩევად დასმული საკითხი  
ვორ-რა-პის ოჯახსაც შეეხებოდა. როდესაც  
ვორ-რა-პიმ თეთრთა უფროსი ნახა უკანას-  
კნელად და მისგან თავისი ხალხისათვის პუ-  
რი მიიღო, უფროსმა უთხრა, დროა ბავ-  
შები სასწავლებლად ქალაქში გამოგზავნო-  
თო. ვორ-რა-პისაც დაჟინებით ურჩევდა,  
შენი 12 წლის ვაჟი, მფრინავი მელა, შეჰვე-  
დად მიაბარე თეთრთა სკოლაშიო.

უფროსმა სწავლის უპირატესობანი აუხ-  
სნა და უთხრა, რომ სკოლაში ბიჭი წერა-  
კითხვას ისწავლის. ამ სიტყვებზე უფროსმა  
წიგნი აიღო და ვორ-რა-პის კითხვა დაუწყო.  
ისიც დაუმატა, თუ შვილს სასწავლებლად  
მისცემ, იქნება ექიმი გამოვიდესო, ან უშვე-  
ლებელ მდინარეებზე ხიდების გადებას, დიდი  
სახლების აშენებას, რკინის გზების გაყვანას  
შეისწავლის, მდიდარი კაცი გახდება და  
ისეთი მშვიერი აღარ იქნება, როგორ ახლაო.

ვორ-რა-პი უფროსს უნდობლად და თა-  
ნაც გაკვირვებით უგდებდა ყურს. მართა-  
ლია, ქალაქში მას არა ერთხელ ენახა დიდი  
სახლები, მაგრამ მათ ახლო გავლისა ყო-  
ველთვის ეშინოდა: ქარი დაბერავს და ჩამო-  
ანგრევსო. ცეცხლით მსუნთქავი ფოლადის  
რაში ენახა, რომელიც ისე დაჰქრის, რომ

ვერცერთი მათი ცხენი ვერ შეეჯიბრება, მაგრამ რა დასაჯერებელია, რომ ეს რაში ადამიანის ხელით იყოს გაკეთებული. არა, ეგ შეუძლებელია, ფიქრობდა ვორ-რა-პი, თეთრები ახლაც ისე გვატყუებენ, როგორც ყოველთვის ატყუებდენ ინდოელს. თეთრებს ეს რაში ბოროტმა სულმა გამოუგზავნა, რომელთანაც მათ კავშირი აქვთ.

სწორედ რომ ავი სულის წარმოგზავნილია ეს ცეცხლმფრქვეველი რაში, იმიტომ, რომ სადაც კი გაივლის, იქ ველარც ტყეებს ნახავთ, ველარც ბიზონებს; აღარსადა სჩანს არც მშიშარა ჯეირანი, აღარც ტყის მძლავრი მეფე—ბალნიანი დათვი. ყველანი განდევნა და შეაშინა ამ რაშმა, რომ ინდოელები უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩაეყენებია.

ტყუის თეთრი, როდესაც არწმუნებს, მფრინავ მელას ფოლადის რაშის გაკეთებას ასწავლიანო. არა, ტყუის თეთრი, მფრინავი მელა ავ სულს ვერ მიუდგება, ვერ ემსახურება, და თვითონაც რომ მოინდომოს, ხალხი გაკიცხავს და სამუდამოდ განდევნის.

მაგრამ თეთრი უფროსი მოითხოვს, ბავშვები სასწავლებლად ჩვენ მოგვაბარეთო; უფროსი ამბობს, თქვენი მონათესავე ინდოე-

ლები, რომელიც, მართალია, შორსა ცხოვრობენ, მაგრამ მაინც თქვენი ნათესავნი არიან, თავის შვილებს სასწავლებლად ჩვენ გვაძლევენ და ძალიან კმაყოფილნიც არიანო; იმათ შვილებს ბევრი რამ ეცოდინებათ და ბედნიერი იქნებიანო. და გადასწყვიტა ვორ-რა-პიმაც უფროსების კრების მოწვევა. ამათ გარდა ამ კრებაზე იმ ტომის უფროსებიც უნდა მოეწვია, რომელიც თავის შვილებს სასწავლებლად თეთრებს აძლევდა.

და აგერ კრების დღეც დადგა. კურდღლის კვალმა, თავისი მამის ლაპარაკიდან იაგუსთან და შინ-გე-ბესთან, იცოდა, რაზედაც უნდა ჰქონოდათ სჯა-ბაასი. კრებაში მონაწილეობა თვითონ არ შეეძლო—ჯერ ყმაწვილი იყო, მაგრამ სხვებთან ერთად ვიგვამთან ყოფნა და თავისი ბრძენი წინამძღოლების ყურის გდება კი შეეძლო.

დილა-ადრიან შეიკრიბენ ხალხის წინამძღოლნი მკურნალის ვიგვამთან, ვიგვამის ახლოს იდგენ და ჩიბუხს აბოლებდენ. მოშორებით, ხეების ქვეშ, ხალხი შეკრებილიყო—ერთ მხარეს კაცები და ყმაწვილები, რომელთაც კრებაში მონაწილეობის უფლება ჯერ არა ჰქონდათ, მეორე მხარეს კი ქალები. ხალხი სადღესასწაულო ტანისამოსით



ინდოელების  
ძეგლი.

მოსულიყო, კრებაში მონაწილე უფროსები კი, ისე, როგორც ძველ დროში, სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილიყვნენ. პირისახეზე ფერადი წამალი წაესვათ, საგანგებო მოკასინების ზემოდან აჭრელე-ბული პაჭიჭები ჩაეცვათ, უკან მელის უშველებელი კუდები ჩამო-ეკიდათ თმაში არწივის ფრთა ჩაე-რჭოთ; ზოგ წინამძღოლს კი თავი-დან ქამრამდე ჰქონდა ჩამოშვებუ-ლი არწივის ფრთა.

ვორ-რა-პიმ კრებას თეთრი უფ-როსის ნალაპარაკევი მოახსენა, ისიც უამბო, რომ ზოგიერთი ინ-დოელები თავის შვილებს თეთ-რებს აძლევენ სასწავლებლადო და ამ ინდოელების წინამძღოლს სთხოვა, მოეხსენებია ხალხისა-თვის მართალია თუ არა ეს ცნობა, და თუ მართალია, მათი შვილები თავს როგორა გრძნობენ თეთრებ-თან, გახდენ თუ არა თეთრებთან

ყოფნის შემდეგ უფრო ბრძენნი, მძლავრნი, ახდენენ თუ არა ყველა იმ სასწაულებს, რომ-ლებსაც თეთრები გაიკვებიან.

ამ სიტყვების შემდეგ წრეში მოხუცებული ინდოელი შევიდა და მოახსენა:

— დიახ, ეგ მართალია, ჩვენი ხალხი თავის შვილებს სასწავლებლად თეთრებთანა გზავნის, მათს უშველებელსახლებიან დიდ სოფელში. ისიც მართალია, რომ ჩვენი შვილები იქ ბევრ სასწაულს ითვისებენ: წინ თეთრ ქალაქს დაიდებენ, ზედ დასცქერიან და ხმამაღლა ამბობენ იმას, რაც სრულიად უცნობი, ჩვენგან ძალიან შორს მცხოვრები ხალხისაგან არის თქმული. ისიც მართალია, რომ, ვინმე ჩვენთაგანი თუ იტყვის რასმე, თეთრებთან ნამყოფი ქალაქდზე რალაც ნიშნებს გააკეთებს, და თუ ეს ქალაქი მეორეს, თეთრებთან მყოფს, გადაეცა, რომელიც ლაპარაკის და ჩვენი შვილის მიერ ნიშნების დასმის დროს იქ არ ყოფილა, ეს მეორე ქალაქს შეხედავს და ჩვენს ნათქვამს სიტყვა-სიტყვით გაიმეორებს...

შეკრებილ ხალხში ხმაურობა გაისმა. ყველანი გაოცებული იყვნენ სასწაულით და გაგონილი თითქო არა სჯეროდათ, მაგრამ თავისი უნდობლობის გამომჟღავნებას არავინ ბედავდა. ასეთს კრებებზე ინდოელმა მხოლოდ მართალი უნდა სთქვას, ვინც



ტყუილს იტყოდა, სასტიკად ისჯებოდა—  
სიკვდილით.

— დიახ, მართალია, — განაგრძობდა ინ-  
დოელი, — მაგრამ მეტსაც ვიტყვი: ჩვენი  
შვილები უზარმაზარ სახლებში ცხოვრობენ,  
მაგრამ იქ ტყეს ვერა ხედავენ, არ ნადირო-  
ბენ, სოფელ გარეთ იშვიათად გადიან, ბევრს



დიდი მკურნალი.

სჭამენ და მაინც ვერა სუქდებიან. ყველა-  
ფერი თეთრებს უნდა გაუგონონ და დაუჯე-  
რონ. მაგრამ დღითი-დღე უძლურდებიან,  
სახლში სრულიად დასუსტებულნი ბრუნდე-  
ბიან და რამდენიმე მათგანი უკვე მიიცვალა  
კიდევ... თეთრებისაგან ის კი ვერ ისწავ-  
ლეს, როგორ მოვახერხოთ, რომ მიწა მეტი

გვქონდეს, რომ ნადირობა უკეთესი იყოს. ვერ ისწავლეს და დასუსტდენ და დაუძლოურდენ ჩვენი შვილები. აღარ ღვივის მათში სიცოცხლის სიყვარული, აღარ დულს მათში ნეტარი სიყმაწვილე.

მაშინ წრეში დიდი მკურნალი შევიდა. — რა სასწაულია იმაში, რასაც ჩვენ ახლა გვიამბობდენ? ჩვენს დიდ ბრძნებსაც შეეძლოთ არყის ხის ნიშნების გაკეთება, იმათაც შეეძლოთ ამ ნიშნებზე დახედვით ეთქვათ ის, რასაც მათთვის უცნობი, შორეული ხალხი ამბობდა. თეთრებს სასწაული არ მოუხდენიათ. ჩიროკის ტომს თქვენ ყველანი იცნობთ. იმათაც შეუძლიათ, თეთრების გვარად, კითხვა, მაგრამ ეს კითხვა თეთრებისგან არ უსწავლიათ. ეს სასწაული ბრძენმა სი-კვოიამ\*) შეასწავლა.

ერთხელ სი-კვოიას ინდოელი შეხვდა, რომელსაც თეთრებისაგან მიცემული წიგნის კითხვა შეეძლო. სი-კვოიას ბრაზი მოერია. განა შეიძლება თეთრებისაგან კეთილი რისამე მიღება? სი-კვოია კარგად იცნობდა თეთრებს: მამა თეთრი ჰყავდა; მისი დედა შეერთო, მერმე კი ძუძუმწოვარი ბავშვით

---

\*) სი-კვოია — კალიფორნიის დიდი ხის სახელია.

სრულიად უმწეოდ მიეტოვებია და წასულიყო. ეს ბავში იყო სი-კვოია. გაიზარდა, თავისი თეთრი მამის უკეთურობა გაიგო და მას შემდეგ შეიძულა თეთრები და მათი არა სჯეროდა-რა.

სი-კვოიას, ისე, როგორც ინდოელთა სხვა ბრძნებს, კარგად ესმოდა, რა კარგი იქნებოდა იმისი ჩაწერა, რასაც ბრძენნი ამბობენ. ძალიან სწუხდა, თეთრები ამას ახერხებენ, ჩვენ კი ვერაო. დაფიქრიანდა, ნადირობაზე ხელი აიღო, მტერთან ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა.

მთელი დღე თავის ვიგვამში იჯდა და რაღაცას ხატავდა.

ხალხს სი-კვოია ძალიან ებრალებოდა: ეგონათ, გაგიჟებულაო. მაგრამ ერთხელ სი-კვოიამ ხალხის უფროსნი მოიხმო, თავისი პატარა ქალი გამოიყვანა მთელი ხალხის წინაშე, არყის ხის ფირფიტა აიღო და ზედ რაღაც დასწერა. შემდეგ ეს დაწერილი თავის ქალს გადასცა და იმან ხმამაღლა წაიკითხა.

სი-კვოიამ თავის ქალს კიდევ რამდენჯერმე წააკითხა ის, რასაც თვითონ ჩუმადა სწერდა, და ქალიც ყოველთვის სწორადა კითხულობდა. ხალხს გაეხარდა და თავისი

ბრძენი, მასწავლებელი სი-კვოია აქო და ადიდა. ყმაწვილკაცობამ საომარ გასართობს თავი დაანება და სი-კვოიასაკენ სასწავლებლად დაიძრა\*).

ხალხში კვლავ ხმაურობა გაისმა, მაგრამ ახლა ხმაურობა სიამოვნების გამომეტყველი იყო. ხალხი თითქოს ამაყობდა იმით, რომ მათ შვილებსაც ისეთივე სასწაულის მოხდენა შეუძლიათ, როგორც თეთრებს.

— მაგრამ უმთავრესი ეგ არ არის, ბრძენო წინამძღოლო, — განაგრძო მკურნალმა, — თქვენ აქ გაიგონეთ, რომ თეთრებთან მოსწავლე ჩვენი ძმების შვილები უძ-

---

\*) სი-კვოიამ, ჩიროკის ტომიდან, 80 ასოდან შემდგარი ანბანი შეადგინა. ამ ანბანით ჩიროკის ტომის ყველა სიტყვების და ცნებათა დაწერა შეიძლებოდა.

სი-კვოიას გამოგონილი ანბანის ამბავი მისიონერებმაც გაიგეს; ეს ანბანი შეისწავლეს და ინდოელთა ენაზე დაბადება სთარგმნეს. ხოლო 1820 წ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ამ ანბანის შრიფტი თავისი ხარჯით ჩამოასხა და საბეჭდ მანქანასთან ერთად ჩიროკის ტომის ხალხს გაუგზავნა, რომელიც ინდოელთა შორის უგანათლებულესად ითვლება. შემდეგ თეთრებმა სი-კვოიას მარმარილოს ქანდაკება გააკეთეს. ეს ქანდაკება აკლაგომის თემის ინდოელთა საკრებულო სახლში ინახება, ტალეკვოში.

ლურდებიან, მათ გულში სიხარული აღარა  
რჩება, შინ ბრუნდებიან და კვდებიან.



სი-კვრია, რომელმაც ანბანი გამოიგონა.

— ბრძენნო წინამძღოლნო! — ამბობდა  
ის, — რასა იქმთ, როცა შვილებს თეთ-  
რებს მისცემთ? განა თქვენ მათ ვერაგო-

ბას ვერა ხედავთ? ან იქნება გინდათ, რომ ჩვენი შვილებიც მათსავით ვერაგნი და მზაკვარნი გამოვიდნენ? შეხედეთ თეთრებს, ხომ გინახავთ ისინი ქალაქებში: განა ბედნიერნი არიან? დღე-და-ღამე დიდ სახლებში სხედან გამომწყვდეულნი, ისეთ სახლებში, რომლებშიაც ჩვენ შიშით ავკანკალდებოდით. ცხენზე ვერ შემსხდარან, ეშინიათ, უძღურნი და სუსტნი არიან. მათ ქუჩებში სუნთქვა შეგეკვრისთ; ისეთი მყრალი სუნი დგას, თითქო ქალაქში ბრძოლა იყო, და მოკლული მხედრები ჯერ არ დაუსაფლავებიათო. სიცივე რომ დადგება, ტყავებში ეხვევიან და მაინც ძაგძაგებენ. თუ დაარტყამს ვინმე, ისე ტირიან, როგორც მშიშარა კურდღელი... არა, ბრძენნო წინამძღოლნო, თეთრები კარგად ვერა ცხოვრობენ, მათი მიბაძვა ჩვენთვის საჭირო არ არის.

ამის შემდეგ კრებაზე აღარავის ულაპარაკნია. ცოტა ხანს კიდევ იდგენ, თავის გრძელ ჩიბუხებს სწევდენ, მერე კი ვორ-რაპიმ მაღალი ხმით ხალხს კრების დადგენილება გამოუცხადა: ძველებურად ეცხოვრათ და თავისი შვილები თეთრებისათვის სასწავლებლად არ მიეცათ.

ამ გადაწყვეტილებას მთელი ხალხი მხიარული ყვირილით მიეგება.

კურდღლის კვალსაც უხაროდა, მაგრამ იმავე დროს ისიც გადასწყვიტა, დიდ მკურნალთან კიდევ წასულიყო და სი-კვოიაზე ყველაფერი დაწვრილებით გამოეკითხა, ხოლო, თუ საჭირო იქნებოდა, ჩიროკის ტომთანაც წასულიყო, რათა უკან დაბრუნებისას თავისი ხალხისათვის ძველი, სიბრძნით სავსე თქმულებების ჩაწერა ესწავლებია

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრ-  
დის მთავარმართველობის სალიტერატურო-სამხატვრო  
სექციის ხელმძღვანელობით გამოცემული წიგნების

ს ი ა

1. „ნორჩი-ძალა“ — კრებული . . . . .	12	კაპ.
2. „ბელა-ბეკეკა“ . . . . .	10	„
3. „დედაბერი, ტურა და მელია კუდი-გძელია“ . . . . .	50	„
4. „ბავშებს“ — ლექსები გ. ქუჩიშვილისა . . . . .	20	„
5. „ტყის ზღაპარი“ — მამინ-სიბირიაკისა . . . . .	20	„
6. „ტყის სურათები“ — შიო მღვიმელისა . . . . .	25	„
7. „ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი“ . . . . .	80	„
8. „ქართული მოძრავი თამაშობანი“ . . . . .	80	„
9. „იგავ-არაკები“ — ალ. მირიანაშვილისა . . . . .	30	„
10. „ივანე სულელი“ — ზღაპარი ლ. ტოლსტოისა . . . . .	15	„
11. „მოძრავი თამაშობანი“ სიმღერებით — გოგ- ლიჩიძისა . . . . .	1	მან.
12. „ოვიდიუსის მეტამორფოზები“ — ალ. მიქა- ბერიძისა . . . . .	70	კაპ.
13. „ზამთარი“ — ფერადი სურათებით . . . . .	50	„
14. „უძველესი დროის ბავშვის თავგადასავალი“ . . . . .	45	„
15. „როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“ . . . . .	25	„
16. „გაზაფხული და ზაფხული“ . . . . .	90	„



17.	„რას გვიამბობს ოთახი“ . . . . .	20	კაპ.
18.	„ზღვის სიმდიდრე“ . . . . .	20	„
19.	„პატარა იაპონელები“ — ფერადი ყლით . . . . .	75	„
20.	„სიზმრად და ცხადად“ . . . . .	30	„
21.	„კოკონთან“ — ჩვენი უფროსი ძმები, ახალ- გაზრდა კომკავშირელები. . . . .	10	„
22.	„ლენინის საათი სკოლაში“ . . . . .	50	„
23.	„ტაიგის საუნჯენი“ . . . . .	40	„
24.	„კომბლე“ — ფერადსურათებიანი წიგნი . . . . .	65	„
25.	„პიონერი სოფლად“ . . . . .	25	„
26.	„საბავშო ბალი“ — ფერადი სურათებით . . . . .	1	მან.
27.	„ნორჩ პიონერთა თანამგზავრი.“ . . . . .	20	კაპ.
28.	„მომღერლები“ . . . . .	15	„
29.	„წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი“ — ჯიშკარიანისა . . . . .	35	„
30.	„თინიკოს გამოცანები“ — ფერადი სურათებ. . . . .	45	„
31.	„საბავშო სახლის ცხოვრება“ . . . . .	70	„
32.	„იყავ მზად“ . . . . .	5	„
33.	„პატარა ჰოლანდიელები“ . . . . .	80	„
34.	„ჩემი პატარა წიგნი“ — ფერადი სურათებით . . . . .	50	„
35.	„მაღალი მთის და პაწია ნაკადულების ამბავი“ (საპირველმაისო ზღაპარი). . . . .	30	„
36.	„ახალი ორთქლმავალის სიმღერა“ . . . . .	25	„

3257:553.

91  
b 633

*[Handwritten signature]*